პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი, 27 მარტი 1937 წ. № 70 (4871)

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

- გამოვასწოროთ გარღვევა სუბტროპიკულ რაიონებში (მოწინავე).
- ესპანელი მწერლები რაფაელ ალბერტი და მარია-ტერესა ლეონი—ამხანაგ სტალინს.
- ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე.
- დ. დემეტრაძე — თვითკრიტიკის გზით (ფელეტონი).
- ანდრო გელოვანი — მარქს-ენგელსის შეხედულებანი სისხლის სამართლის საკითხებზე (ბიბლიოგრაფია).

უცხოეთში:

- ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის ქვეკომისიაში
- გამოძახილი გრანდის მიერ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიაში გაკეთებული განცხადების გამო.
- ფაშისტური ინტერვენცია ესპანეთში.
- იტალიური პრესის კომენტარიები.

გამოვასწოროთ გარღვევა სუბტროპიკულ რაიონებში!

ჩაისა და ნარინჯოვან კულტურათა სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ორდენოსანი საქართველოს ამ ძვირფას კულტურათა სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების რესპუბლიკური გეგმა, აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებისა და მთელი რიგი რაიონების ზერელე, თვითკმაყოფილებით დამოკიდებულების გამო, აშკარა საფრთხის წინაშე დგას. მიწსახკომის ოპერატიული ცნობები ჩაისა და ციტრუსთა სამუშაოების მიმდინარეობაზე, რაც „კომუნისტის“ გუშინდელ და დღევანდელ ნომრებში გამოქვეყნდა, ამ მეტად სამწუხარო გარემოებას ადასტურებს.

პირველი აპრილისათვის უნდა დამთავრდეს ჩაის პლანტაციების ნიადაგის მომზადება, ჩაის თესვა, გასხვლა და ფორმის მიცემა, პლანტაციების რემონტი, საზამთრო გადაბარვა, პლანტაციებში ნაკელისა და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა, ქარსაფარ მცენარეთა გაშენებას სამუშაოები და კალათების მომზადება.

რა მდგომარეობაა 20 მარტისათვის? ამ ვადისათვის მეტად დამაფიქრებელი სურათია. პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 27 პროცენტით. აღნიშნული სამუშაოს გეგმა მხოლოდ მახარაძის რაიონმა შეასრულა, მაგრამ მასაც სამარცხვინო ჩამორჩენა აქვს ჩაისა და ნარინჯოვანთა ყველა სხვა სამუშაოში. სამტრედიის რაიონს ჩაის პლანტაციისათვის უნდა მოემზადებინა 35 ჰექტარი ნიადაგი. 20 მარტისათვის კი ეს სამუშაო დაწყებულიც არ ჰქონდა. ასეთივე მდგომარეობაა გუდაუთის რაიონშიც.

ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმის სამარცხვინო ჩაშლით ხასიათდებიან: ბათუმის რაიონი — გეგმა შეასრულა 2,2 პროცენტით, გუდაუთის —3 პროც., წულუკიძის — 8,2 პროც., ქობულეთის — 12,1 პროც., სოხუმის — 13,9 პროც. დიდი ჩამორჩენაა აგრეთვე ქუთაისის, ზუგდიდის, ლანჩხუთის და ჩხოროწყუს რაიონებში, ხოლო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არცერთ რაიონში არა გვაქვს.

ჩაის თესვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 40,5 პროცენტით. ამ სამუშაოშიაც სამარცხვინოდ ჩამორჩენ სოხუმის, სამტრედიის, ბათუმის და მთელი რიგი სხვა რაიონები.

ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ფორმის მიცემის რესპუბლიკური გეგმა 66 პროცენტით არის შესრულებული, ნაკელის შეტანისა — მხოლოდ 25 პროცენტით, პლანტაციების მიმდინარე და კაპიტალური რემონტისა — 50,4-ით, ფოსფოროვანი სასუქების შეტანისა კი — 75,6 პროცენტით.

სამუშაოთა შესრულების ვადა იწურება, სამუშაოთა დიდი ნაწილი კი შეუსრულებელია. არც ისე დიდი დროა დარჩენილი „მწვანე ოქროს“ პირველი დუყების კრეფამდე, მაგრამ რაიონების უმრავლესობას კალათების დამზადების გეგმაშიაც დიდი ჩამორჩენა აქვს. 20 მარტისათვის დაუმზადებელი იყო 24 ათასი კალათი.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ნარინჯოვანი კულტურების სამუშაოთა გეგმების შესრულებაში. ნაკელის დამზადება და ნარინჯოვანთა შეწამლვა პირველი მარტისათვის უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ 20 მარტისთვისაც კი ამ სამუშაოთა გეგმების შესრულება სამარცხვინო მდგომარეობაში იყო. პლანტაციებში ნაკელის შეტანის გეგმა შესრულებული იყო 87,2 პროცენტით, ხოლო შეწამლვისა 46,4-ით. აღნიშნული სამუშაოები გადაჭარბებით შეასრულეს ლანჩხუთის და ფოთის რაიონებმა. სამარცხვინო გარღვევა აქვთ მახარაძის და ხობის რაიონებს.

15 მარტისათვის უნდა დამთავრებულიყო ნიადაგის მომზადება ნარინჯოვან კულტურათა და სანერგეთა გასაშენებლად, აგრეთვე ტრიფოლიატის დასათესად. 20 მარტისათვის კი მხოლოდ ტრიფოლიატის დასათესი ნიადაგის მომზადების რესპუბლიკური გეგმა იყო გადაჭარბებით შესრულებული, თუმცა მახარაძისა და ზუგდიდის რაიონები ამ სამუშაოს შესრულებაშიაც სამარცხვინოდ ჩამორჩენ. დანარჩენ სამუშაოთა რესპუბლიკური გეგმები შესრულებული არ არის.

წელს რესპუბლიკაში ნარინჯოვანთა პლანტაციები უნდა გაშენდეს 1.500 ჰექტარზე. მოსამზადებელი მუშაობის ასეთი გაჭიანურება საფრთხეში აყენებს ახალი პლანტაციების გაშენების უაღრესად პასუხსაგებ საქმეს.

დიდი ჩამორჩენაა სანერგეების მოწყობის და განსაკუთრებით ტრიფოლიატის გადარგვის საქმეში. ამ მხრივ რაიონებს მეტად პასუხსაგები დავალება აქვთ მიცემული — გადარგულ უნდა იქნას 36 მილიონი ძირი ტრიფოლიატი. ამ სამუშაოს დროულად და ხარისხობრივად შესრულება სწყვეტს მყნობის საკითხსაც. 20 მარტისათვის ტრიფოლიატის გადარგვა აფხაზეთის ასსრ-ში, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის და გეგეჭკორის რაიონებში დაწყებულიც არ იყო.

ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ სუბტროპიკულ რაიონთა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ხელიდან გაუშვეს ნარინჯოვანთა და ჩაის სამუშაოთა შესრულების ხელსაყრელი მომენტები. ახლა კი მარცვლეულ კულტურათა თესვის გეგმის შესრულებაც ზოგიერთმა რაიონმა ნელი ტემპით დაიწყო. ყველაფერი ეს იმას მეტყველებს, რომ აღნიშნულ საგაზაფხულო სამუშაოთა ვადებზე შეუსრულებლობის გამო ხვნა-თესვასაც საფრთხეს უქმნიან.

დასახელებული რაიკომის მდივნებს, რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს, მიწგანების გამგეებს და მტს-ების დირექტორებს არაფრით არ შეუძლიათ გაამართლონ ასეთი ყოვლად დაუშვებელი ჩამორჩენა და გარღვევა. ფაქტია, რომ ისინი თვითდამშვიდებას და თვითკმაყოფილებას მიეცნენ.

გეგმის შესრულებისადმი ასეთი ოპორტუნისტული დამოკიდებულება საფრთხეში აყენებს ამხანაგ ლავრენტი ბერიას იმ საბრძოლო დავალებათა შესრულებას, რომ მივიღოთ ნარინჯოვანთა ნახევარი მილიარდი ნაყოფი და გავადიდოთ ჩაის მოსავლიანობა.

ამოცანა ის არის, რომ სუბტროპიკულ რაიონთა პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ გამოასწორონ არსებული გარღვევა.

პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელი პლენუმის დადგენილების რეალიზაცია უნდა წარიმართოს ჩაის და ნარინჯოვანი კულტურების სამუშაოთა ხარისხოვნად შესრულებისა და საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროულად შესრულების ნიშნითაც.

ნარინჯოვანთა (ციტრუსთა) სამუშაოები

მიწსახკომის 20 მარტის ცნობებით

რაიონები	პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება პროცენტობით	სანერგის მოსაწყობად ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება პროცენტობით	ტრიფოლიატის დასათესად ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება პროცენტობით	ნაკელის დამზადების გეგმის შესრულება პროცენტობით	მავნებლების წინააღმდეგ შეწამვლა პროცენტობით
მახარაძე	59,1	87	33,3	51	44,5
ლანჩხუთი	100,4	102,6	100	111	100
ფოთი	100	100	100	145,8	100
ცხაკაია	100	100	100	59,1	100
ხობი	82,5	—	100	51,3	46,1
აბაშა	100	—	—	100	100
ზუგდიდი	74,4	56,5	50	91,3	71,5
ჩოხატაური	100	—	—	102,3	43,2
წულუკიძე	—	—	00	100	100
გეგეჭკორი	100	00	—	93,1	—
ჩხოროწყუ	75,4	.00	—	96,6	10,1
წალენჯიხა	106,7	—	—	99,6	27,3
სამტრედია	206,7	—		—	100
აჭარის ასსრ	67	65,5	120	92,4	24,4
აფხაზეთის ასსრ	66,7	100	142,9	73,3	67
სულ	77,5	88,1	121	87,2	46,4

◆

პოლიციის თავდასხმა არალეგალურ სტამბაზე

ნიუ-იორკი, 20 მარტი (საქდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ რიო - დე - ჟანეიროდან (ბრაზილიის დედაქალაქი) იუწყება, პოლიცია თავს დაესხა არალეგალურ სტამბას, რომელშიაც, ვითომ, იბეჭდებოდა კომპარტიის ორგანო „კლასე ოპერარია“. დააპატიმრეს სტამბის ყველა მუშაკი.

ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის ქვეკომისიაში

ლონდონი, 24 მარტი (საქდესი). გუშინ შესდგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიის ორი სხდომა, რომელთაც — ვინ იცის — შეიძლება არა ნაკლები ისტორიული მნიშვნელობა მიეცეთ, ვიდრე ცნობილ გასროლას სარაევოში. დილის სხდომაზე იდგა საკითხი ესპანეთიდან ეგრეთწოდებულ „ვოლონტიორთა“ ევაკუაციის შესახებ. 16 მარტს ქვეკომისიის წინა სხდომაზე ფაშისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ობსტრუქციის მიზნით განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ამ საკითხის განხილვაზე, ვინაიდან სსრ კავშირი არ არის თანახმა განიხილოს ესპანეთის ოქროს ბედის საკითხი. იმისათვის, რომ წაერთვა ეს საბაბი რიბენტროპისა და გრანდისათვის და გამოემჟღავნებინა მათი ნამდვილი ფიზიონომია, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ გუშინდელ დილის სხდომაზე განაცხადა, რომ, იცავს რა თავის პრინციპულ პოზიციას, იგი მზად არის გადასაჭრელად გადასცეს ექსპერტთა კომისიას საკითხი — აქვს თუ არა უფლება კომიტეტს განიხილოს ისეთი პრობლემა, რომელიც შეეხება ესპანეთის მთავრობის მიერ თავისი ქვეყნის ყველა კაპიტალური ფასეულობის გამოყენებას, ოქროს ჩათვლით. ამხ. მაისკის ეს განცხადება დიდად მოიწონეს კომიტეტის თავმჯდომარემ ლორდმა პლიმუტმა, საფრანგეთის წარმომადგენელმა კორბენმა და ქვეკომისიის წევრთა უდიდესმა უმრავლესობამ. ამგვარად, „ვოლონტიორთა“ ევაკუაციის განსახილველად გზა თითქოს გახსნილი იყო. მაგრამ სწორედ აქ გამოირკვა ფაშისტურ სახელმწიფოთა ნამდვილი სახე.

როდესაც პლიმუტმა მოითხოვა, რომ „ვოლონტიორთა“ ევაკუაციის საკითხი წინასწარ დასამუშავებლად გადაეცეთ ტექნიკურ ექსპერტებს, იტალიის წარმომადგენელმა გრანდიმ უეცრად განაცხადა შემდეგი, რამაც საყოველთაო გაოცება გამოიწვია: „მე ვფიქრობ, რომ „ვოლონტიორთა“ საკითხი ტექნიკური კი არა, არამედ პოლიტიკური საკითხია და ამიტომ არა აქვს აზრი მის გადაცემას ტექნიკური ექსპერტების განსახილველად. მით უმეტეს, რომ იტალიის მთავრობა მზად არ არის ამ საკითხის განსახილველად“. პლიმუტის, კორბენის და სხვა დელეგატთა გაკვირვებულ შეკითხვებზე გრანდიმ უპასუხა, რომ ვერაფერს მიუმატებს იმ განცხადებას, რომელიც მან ეს-ეს არის გააკეთა, ხოლო შემდეგ მკაცრად განაცხადა, ჯერ კიდევ არა მაქვს ჩემი მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ თუ კომიტეტს სურს იცოდეს ჩემი პირადი აზრი, დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი იტალიელი „ვოლონტიორი“ არ დასტოვებს ესპანეთს, ვიდრე იქ სავსებით არ დამთავრდება სამოქალაქო ომი.

გრანდის განცხადებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო. საფრანგეთის წარმომადგენელმა კორბენმა განაცხადა, რომ ესოდენ მოულოდნელად წამოჭრილ სიძნელეს შეუძლია საფრთხე შეუქმნას კომიტეტის მთელ შემდგომ მუშაობასო. პლიმუტი სავსებით დაეთანხმა კორბენს და აღიარა, რომ გრანდის განცხადება „ჰქმნის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას“. სხვა დელეგატებმაც ასეთივე აზრი გამოსთქვეს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ თავის მხრივ სასტიკად გააკრიტიკა იტალიის მთავრობის პოზიცია და კერძოდ, მოაგონა დამსწრეთ, რომ ა. წ. იანვრის დამდეგს იტალიის მთავრობამ ბრიტანეთის მთავრობის სახელზე გაგზავნილ ოფიციალურ ნოტაში თვითონვე წამოაყენა ესპანეთიდან „ვოლონტიორთა“ ევაკუაციის საკითხი, როგორც მომენტის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ახლა კი სინიორ გრანდი აცხადებს: „არცერთი იტალიელი „ვოლონტიორი“ არ დასტოვებს ესპანეთს სამოქალაქო ომის დამთავრებამდეო“. „იტალიის მთავრობას, — აღნიშნა ამხ. მაისკიმ, — უნდა ესმოდეს, რომ ესპანეთიდან „ვოლონტიორთა“ ევაკუაციის საკითხის განხილვაზე უარის თქმა ლახვარს ჩასცემს არა მარტო კომიტეტის მთელ შემდგომ მუშაობას და თვით კომიტეტის არსებობასაც, არამედ მას ადვილად შეუძლია საფრთხე შეუქმნას ევროპის მშვიდობიანობასაც. აი ამიტომ ამ მძიმე მომენტში, რომელიც ადვილად შეიძლება გახდეს დიდი ისტორიული ტრაგედიის გამოსავალ პუნქტად, მე ერთხელ კიდევ ნებას მივცემ თავს გამოვთქვა იმედი, რომ იტალიის მთავრობა აირჩევს კეთილგონიერებისა და სიფრთხილის გზას“.

დილის სხდომა უშედეგოდ დამთავრდა და ნაშუადღევს დაინიშნა ახალი სხდომა, რათა შეემუშაონ ცნობა სხდომის შესახებ პრესისათვის. ჩვეულებრივ ცნობის შედგენას რამდენიმე წუთი სჭირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ცნობის ტექსტის განხილვა სამ საათს გაგრძელდა. ქვეკომისიაში ატმოსფერო ძალიან დაძაბული იყო. დისკუსიას ჰქონდა ცხარე, ხოლო დროგამოშვებით ძალიან მღელვარე ხასიათი. საკითხის დედაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ფაშისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით რიბენტროპს და მონტეიროს (პორტუგალიის დელეგატი) უნდოდათ რადაც უნდა დასჯდომოდათ დაემალათ საზოგადოებრივი აზრისათვის გრანდის დილანდელი განცხადება. პირიქით, ინგლისის, საფრანგეთის, სსრ კავშირის და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს სრულიად შეუძლებლად მიაჩნდათ ფართო მასების ასე აშკარად შეცდომაში შეყვანა. საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვეს ამ უკანასკნელი აზრის მომხრეებმა და ოფიციალურ ცნობაში გრანდის გამოსვლამ ჰპოვა თავისი, მართალია არა საკმაოდ მკვეთრი, გამოხატულება.

იტალიის წარმომადგენლის პოზიციის გამო ქვეკომისიის ახალი სხდომის ვადა ჯერჯერობით არ არის დანიშნული.

გამოძახილი გრანდის მიერ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიაში გაკეთებული განცხადების გამო

ლონდონი, 24 მარტი (საქდესი). თემთა პალატაში იდენს მისცეს შეკითხვა ესპანეთიდან მოხალისეთა გაწვევის საკითხის განხილვაზე იტალიის მიერ უარის თქმის შესახებ. იდენმა უპასუხა: — ამჟამად არაფერი შემიძლია დავუმატო ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის ქვეკომისიის ცნობას, რომელიც 23 მარტს საღამოს გამოქვეყნდა. შექმნილ მდგომარეობას, — განაცხადა იდენმა, — იხილავს ინგლისის მთავრობა.

ლონდონი, 25 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ინგლისის ოფიციალურ წრეებში იმ აზრის არიან, რომ დამშვიდებით მოეკიდონ იტალიის განცხადებას და რომ გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც განცხადება გააკეთა გრანდიმ, შეიძლება შეცვლილ იქნას.

პარიზი, 25 მარტი (საქდესი). პრესა არ მალავს იმ დიდ ნერვიულობასა და შეშფოთებას, რასაც განიცდიან საფრანგეთის პოლიტიკური ხელმძღვანელი წრეები იტალიის წარმომადგენლის გრანდის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ იტალიელ მოხალისეებს ესპანეთიდან უკან არ გავიწვევთო.

„პტი პარიზიენის“ სიტყვით, საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკური წრეები იმ შეხედულების არიან, რომ შექმნილი ვითარება მეტად სერიოზულია და რომ ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. „პარიზსა და ლონდონში, — შენიშნავს გაზეთი, — ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ მუსოლინი გონს მოვა, მაგრამ ორივე დედაქალაქში აყენებენ კითხვას, რა მოხდება, რომ იტალიელთა დახმარება გენერალ ფრანკოსადმი, ახლაც თითქმის აშკარა, კვლავ განვითარდეს, ნამდვილი ომის ხასიათი მიიღოს და ეს ომი დაიწყოს ოფიციალურად გამოუცხადებლად. საფრანგეთი ამ შემთხვევაში ვერ შესძლებდა პასიური დარჩენილიყო“.

ფაშისტთა ინტერვენცია ესპანეთში

პარიზი, 25 მარტი (საქდესი). კატალონიის მთავრობის პროპაგანდის კომისარმა მირავიტლესმა, რომელიც პარიზში იმყოფება, მიიღო პრესის წარმომადგენლები და გაუკეთა მათ საინტერესო განცხადება გერმანიისა და იტალიის ინტერვენციის გამო ესპანეთში. „გერმანიისა და იტალიის ჩარევამ ესპანეთის საქმეებში,—განაცხადა მირავიტლესმა, — გვიჩვენა შემდეგი: ჯერ-ერთი, გერმანიის ავიაცია როგორც ტექნიკური, ისე პირადი შემადგენლობის მხრივ, აღმოჩნდა იმ დონეზე გაცილებით უფრო დაბლა, რისი იმედიც ჰქონდათ გერმანიის ხელმძღვანელთ და რისიც ეშინოდათ სხვა ქვეყნებს; მეორე, მიუხედავად გერმანიის პროპაგანდის „მაღალი ტექნიკისა“, ჰიტლერელმა ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს ესპანეთში ინტერვენციის საკითხში მიეღწიათ მოსახლეობის იმ ერთსულოვნობისათვის, რომლითაც ისინი ტრაბახობდნენ. მოსახლეობა შიშით სდუმს, მაგრამ უმცირეს შესაძლებლობის დროს საპროტესტო მოძრაობა თავს იჩენს და ადვილად შეიძლება გაფართოვდეს. თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ გერმანია მორალურადაც და ტექნიკურადაც ჯერ კიდევ მზად არ არის ომისათვის. ანალოგიური დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ იტალიის მიმართაც. გვადალახარაზე იტალიის ჯარების შეტევის სრული მარცხის შემდეგ გაჰქრა ილუზია, რომ იტალია—ყველაზე უფრო ძლიერი სამხედრო სახელმწიფოა ევროპაში“.

იტალიური პრესის კომენტარიები

რომი, 24 მარტი (საქდესი). ტონი იტალიური პრესისა, რომელიც ეხება ესპანეთის ამბებსა და ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის მუშაობას, ფაშისტური ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ გაანჩხლებას მოწმობს.

ინგლისისა და საფრანგეთის წინაამდეგ გალაშქრებას თანსდევს მუქარა ამ ქვეყნების მიმართ.

„ტრიბუნა“ სიფიცხით აღიარებს, რომ მეამბოხეთა გამარჯვების იმედი ამჟამად შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იტალიელთა ჯარების ჩარევას. „ამ ომის ბედი, — აცხადებს გაზეთი, — დამოკიდებულია იტალიის ფაშისტ ვოლონტიორებზე... იტალიის პასუხი ნათელი და ზუსტია. იტალიელი ვოლონტიორები დარჩებიან ესპანეთში, რათა ებრძოლონ დამღუპველ კოალიციას, მიმართულს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, და დარჩებიან იქ გამარჯვებამდე“.

გერმანიის პრესა მალავს ფაშისტთა არმიების განადგურებას გვადალახართან

ბერლინი, 25 მარტი (საქდესი). უკანასკნელ დღეებში გერმანიის პრესამ შესწყვიტა ცნობების მოთავსება სამხედრო მოქმედებებზე ესპანეთში. გაზეთები მხოლოდ დღეს ძალიან ფრთხილად აცნობებენ მკითხველებს ფაშისტთა ჯარების დამარცხებას გვადალახარის ფრონტზე.

„შეიძლება აღინიშნოს, რომ გენერალ ფრანკოს მიერ გვადალახარის ფრონტზე დაწყებული შეტევა ნაწილობრივ ჩაიშალა“.—სწერს გერმანიის გენერალურ შტაბთან დაახლოვებული „ბერლინერ ბერზენცეიტუნგი“ — მაგრამ, „მცირე უკანდახევა სრული წესრიგით მოხდა“.

გაზეთი თავის შენიშვნას ამთავრებს იმის აღიარებით, რომ „მადრიდის აღება, რომელიც ორი კვირის წინათ ძალიან ახლოდ გვეჩვენებოდა, ახლა, ბუნებრივია, კვლავ ხანგრძლივად გადადებულია“.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან გერმანიის გაზეთებმა თვალნათლივ გამოამჟღავნეს თავიანთი სიცრუე: დღევანდლამდე გაზეთები გააფთრებით თავს ესხმოდნენ „საბჭოთა ინტრიგებს“ და „ბოლშევიკურ პროპაგანდად“ აცხადებდნენ ევროპის პრესის ყოველგვარ ცნობას ესპანეთში იტალიის „მოხალისეთა“ ყოფნის შესახებ, დღეს კი იგივე გაზეთები თვითონ სწერენ „იტალიის მოხალისეებზე მადრიდთან“.

სახალხო არმიის მებრძოლნი პარადზე ბარსელონაში.

(„სოიუზფოტო“)

ამხანაგ სტალინს

ვტოვებთ რა საბჭოთა კავშირს, ჩვენ გვინდა მადლობა გამოგიცხადოთ თქვენ, როგორც დიდი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელს, ძმური სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ საბჭოთა ხალხმა გაგვიწია, იმ უდიდესი სიყვარულისათვის, რასაც იგი ჩვენი სამშობლოს ბედისადმი იჩენს.

გიძღვნით თქვენ სალამს, გიცხადებთ ჩვენი მტკიცე და წრფელი მეგობრობის გრძნობებს.

რაფაელ ალბერტი,
მარია-ტერესა ლეონი.

რაფაელ ალბერტი და მარია-ტერესა ლეონი ესპანეთს გაემგზავრნენ

ლენინგრადი, 25 მარტი (საქდესი). 25 მარტს რაფაელ ალბერტი და მარია-ტერესა ლეონი ესპანეთს გაემგზავრნენ.

ფინლანდიის ვაგზალზე რესპუბლიკური ესპანეთის მამაცი მგოსნები გააცილეს მწერლებმა მარშაკმა, მარვიჩმა, სეჟიონოვმა, მიროშნიჩენკომ და სხვ.

◆ ◆ ◆

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მოსავლიანობის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიის ლიკვიდაცია

მოსკოვი, 25 მარტი (საქდესი). მთელი რიგი საოლქო ორგანოების წარდგინებათა თანახმად, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დადასტურებულად სცნო, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა მოსავლიანობისა და მარცვლეული კულტურის საერთო მოსავლის ოდენობის განმსაზღვრელმა სახელმწიფო კომისიამ უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ორგანოების სისუსტის პერიოდში, და კომისიის შემდგომ არსებობას არ ამართლებს საქმის ინტერესები.

ამის გამო, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოახდინოს მოსავლიანობის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ლიკვიდაცია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სამუშაოთა ნატურანაზღაურების განაკვეთთა განსაზღვრისათვის მოსავლიანობის ამათუიმ ჯგუფისადმი კოლმეურნეობათა მიმკუთვნებელი სახელმწიფო კომისიის ფუნქციები სახალხო კომისართა საბჭომ დააკისრა რაიონულ კომისიებს, რომლებშიაც შედიან რაიაღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული, რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე და სათანადო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორები, სათანადო კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოწვევით.

საშუალო მოსავლიანობის განმსაზღვრელი და საერთო შემოსავლის გამოანგარიშებელი სახელმწიფო კომისიის ფუნქციები დაეკისრა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს.

ფაქტიური სათესი ფართობების განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიის ფუნქციები დაეკისრა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

კომისიას ამხ. იაკოვლევის (თავმჯდომარე), დემჩენკოს, კრავალისა და კლეინერის შემადგენლობით დაევალა წარმოადგინოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში თავისი წინადადებანი განთავისუფლებულ მუშაკთა განაწილების შესახებ.

◆ ◆ ◆

მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეთა დელეგაცია

მოსკოვი, 25 მარტი (საქდესი). 25 მარტს პარიზიდან მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ცნობილი მიკრობიოლოგები და ქირურგები. დელეგაციას მეთაურობს საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხანაგი დ-რი პიერ დეზარნო.

ნეგორელოეს სადგურიდან მოსკოვამდე საფრანგეთის მეცნიერებს მოაცილებდა საზღვარგარეთის სანიტარული ინფორმაციის საკავშირო ბიუროს დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ვ. მ. ბრონერი.

დელეგაციის მეთაურმა დ-რმა პიერ დეზარნომ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა მკითხველები უკვე იცნობენ ჩვენებურ მეცნიერთა ჩამოსვლის მიზანს. პირადად ჩემთვის ეს მგზავრობა ძალიან ძვირფასი იქნება იმ საკითხების გაცნობის მხრივ, რომლებთანაც მე დაახლოვებული ვარ ჩემი მუშაობით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. ეს არის ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხები. ამჟამად საფრანგეთის პარლამენტში იხილავენ კანონპროექტს 6-დან 18-წლამდე ბავშვთა და მოზარდთა სავალდებულო ფიზიკური აღზრდის შესახებ. სსრ კავშირთან შედარებით საფრანგეთი უეჭველად ჩამორჩა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის დარგში.

ჩვენი კანონის დამტკიცებამდე მსურს რაც შეიძლება ფართოდ გავეცნო თქვენს მიღწევებს და შემდეგ თქვენი დადებითი გამოცდილება გამოვიყენო საფრანგეთში.

თქვენი ქვეყნის მაგალითისამებრ, ჩვენს სკოლებში ფიზკულტურას მალე სავალდებულო საგნად შემოვიღებთ.

მტკიცედ დარწმუნებული ვარ, — სთქვა დასასრულ დ-რ დეზარნომ, — რომ ჩვენი მგზავრობა ხელს შეუწყობს შემდგომ დაახლოვებას სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის, კერძოდ ორივე ქვეყნის მეცნიერებს შორის.

◆ ◆ ◆

პროფესორი ლემეტრი სსრ კავშირის შესახებ

პარიზი, გასული წლის ზაფხულში სსრ კავშირი ინახულა გამოჩენილმა პროფესორმა ლემეტრმა. ლემეტრმა ჟურნალ „ოტო-ლარინგოლოგიურ ანალებში“ გამოაქვეყნა თავისი „მგზავრის შენიშვნები“, რომელშიაც სწერს:

„ამ ქვეყანაში ყველანი—მამაკაცებიცა და ქალებიც მუშაობენ. ქვეყანა უდიდესი ნაბიჯით ვითარდება. როდესაც აწმყოზე ლაპარაკობ უნდა დააზუსტო თარიღი, რომელიც მხედველობაში გვაქვს,—დღევანდელი დღის ჭეშმარიტება არ წარმოადგენს ხვალინდელი დღის ჭეშმარიტებას. საბჭოთა კავშირი უნდა განვიხილოთ დინამიკის, და არა სტატიკის მდგომარეობაში. მართლაც შესანიშნავი წესრიგი და დისციპლინაა გაბატონებული სსრ კავშირში, აგრეთვე ხელმძღვანელთა ავტორიტეტი — საშუალებას იძლევა სავსებით განხორციელებულ იქნას მიღებული გადაწყვეტილებანი“.

ლემეტრმა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და სხვა ქალაქებში გაიცნო, თუ როგორ არის დაყენებული ბრძოლა ეპიდემიურ, ვენეროლოგიურ და მალარიით დაავადებასთან, ინახულა სხვადასხვა სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებანი, სანატორიუმები, საავადმყოფოები და ბაგები. „კომფორტული საავადმყოფოები, — სწერს იგი,— აღემატება იმას, რასაც შეჩვეული ვართ ჩვენს კერძო კლინიკებში“, ყოფილ სასახლეებში მოწყობილი სანატორიუმები არიან შესანიშნავი, იდეალური სამკურნალო დაწესებულებანი.

მეცნიერის აზრით, „ძალიან საინტერესო ორგანიზაციას წარმოადგენენ პირველი დახმარების საავადმყოფოები.

„მე ერთი დღე გავატარე საავადმყოფოში, — სწერს ლემეტრი,— რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი ქირურგი იუდინი. მე არ ვიცნობ ბრონქოეზოფაგოსკოპიის არცერთ განყოფილებას, პროფ. შევალიე-ჯექსონის კლინიკის გარდა ფილადელფიაში, რომელსაც გააჩნდეს ისეთი დიდძალი კოლექცია გარეშე სხეულებისა, რომლებიც თითქმის დაუყოვნებლივ ამოუცლიათ საყლაპავი მილიდან და ბრონქებიდან.

ლემეტრი დადებითად აფასებს აგრეთვე სსრ კავშირის სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის საქმეს:

„გაწეული მუშაობა განსაცვიფრებელია და შესაძლებლობანი განუსაზღვრელი. უკვე დიდი წარმატებანი მიღწეული. უნდა განვაახლოთ, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ ჩვენი სამედიცინო კავშირი სსრ კავშირთან“ (საქდესი).

◆ ◆ ◆

გმირული სიკვდილი

ვალენსია, 25 მარტი (საქდესი). მადრიდის ერთერთ ფრონტზე გმირულად მოკვდა იტალიელი კომუნისტი კარიონი, რომელიც იბრძოდა რესპუბლიკელთა მხარეზე გარიბალდის სახელობის ათასეულის რიგებში. კარიონი იყო იტალიის კომპარტიის ერთერთი ორგანიზატორი. უკანასკნელ წლებში იგი ემიგრანტად იყო საფრანგეთში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების შესახებ

21-დან 23 მარტამდე მიმდინარეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგებისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **ლ. ბერია.**

თავისი მოხსენების დასაწყისში ამხ. ბერია დაწვრილებით ახასიათებს ბუხარინისა და რიკოვის საზიზღარ ანტიპარტიულ საქმიანობას, რისთვისაც ისინი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმმა გარიცხა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან და პარტიიდან. ამხანაგმა ლ. ბერიამ გადაშალა მემარჯვენე თვალთმაქცების და გამცემლების უმძიმესი სულმდაბალი ღალატის ჯაჭვი, რომლებიც ვნებას აყენებდნენ ჩვენს პარტიას ხალხის მოსისხლე მტრებთან — ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან ერთად. პარტიიდან ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვა წარმოადგენს **ლენინისა** და პარტიის წინააღმდეგ მთელი მათი საზიზღარი ბრძოლის ლოგიკურ დამთავრებას. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზედაც—ამბობს ამხ. ბერია, — მათ თავი ეჭირათ როგორც თვალთმაქცებს, მუშათა კლასის გამცემლებს.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, ისე როგორც ტროცკისტები, მემარჯვენეები დიდიხანია აღარ წარმოადგენენ რაიმე პოლიტიკურ მიმდინარეობას და ტროცკისტებთან ერთად არიან საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრები, გაშიშვლებული მავნებლები, დივერსანტები და მკვლელები, კაპიტალიზმის რესტავრატორების საზიზღარი ბანდა.

ამხ. ბერიამ დაწვრილებით გააცნო აქტივს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის მიერ მიღებული რეზოლუციები, გადასცა აქტივს შინაარსი ამხანაგ **სტალინის** გამოსვლისა პლენუმზე და მოუწოდა აქტივს განუხრელად, ბოლშევიკურად შეასრულოს პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ამხ. ლ. ბერია აღნიშნავს, რომ გათახსირებული კონტრრევოლუციონერების — იაპონიისა, გერმანიისა და ტროცკისტთა აგენტების მავნებლობამ, ჯაშუშობამ, დივერსიებმა უეჭველად მიაყენეს ვნება ჩვენს მრეწველობასა და ტრანსპორტს. ის, რომ ტროცკისტებს შეეძლოთ გაეწიათ მავნებლობა, ჯაშუშობა, მოეწყოთ დივერსიები აიხსნება იმით, რომ მრავალი სამეურნეო მუშაკი ჩაიკეტა თავის ნაჭუჭში, მათ გამოიჩინეს ვიწრო საქმოსნობა, აპოლიტიზმი, მოსწყდნენ პარტიულ ცხოვრებას, მასების კონტროლს. ერთმმართველობა მათ გაიგეს, როგორც უკონტროლობა, ისინი არ აწარმოებდნენ აქტივის აღზრდას და ამით ჰკარგავდნენ მისი მხრივ მხარდაჭერას მუშაობაში, ეშინოდათ თვითკრიტიკისა. პარტიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობდნენ სამეურნეო მუშაკთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. ბევრი პარტიული ხელმძღვანელი, სამეურნეო წარმატებებით გატაცებული, ჰკარგავდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხალისს და მათ გამოეპარათ მტრები.

— ჩვენშიც, საქართველოში, — ამბობს ამხ. ბერია,—მხილებული არიან მუშათა კლასის საქმის საზიზღარი მოღალატენი, ფაშიზმის ტროცკისტი აგენტები. ჩვენ გამოვააშკარავეთ ტერორისტებისა და მავნებლების ქართული ტროცკისტული ცენტრი; იგი მთლად შესდგებოდა ყოფილი ეგრეთწოდებული ნაციონალ - უკლონისტებისა და ტროცკისტებისაგან.

ამხ. ბერია დაწვრილებით აცნობს აქტივს ქართული ტროცკისტული ცენტრის წევრთა მავნებლურ და ტერორისტულ საქმიანობას, რომელთაც საშინელი დანაშაულობანი ჩაიდინეს საბჭოთა ხალხის წინაშე. ამხ. ბერიას მოჰყავს დოკუმენტები, რომელნიც მთელი სიცხადით ადასტურებენ, რომ ეგრეთწოდებული ნაციონალ-უკლონისტები პარტიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ თავისი ბრძოლის დასაწყისში მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კონტრრევოლუციონერთან, ხალხის უბოროტეს მტერთან ტროცკისტთან და მოქმედებდნენ მისი კარნახით. ქართული ტროცკისტული ტერორისტული ცენტრი ამოცანად ისახავდა მავნებლობისა და დივერსიების ჩადენას, რათა ძირი გამოეთხარა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერებისათვის და მოეხდინა კაპიტალიზმის რესტავრაცია. თავისი კონტრრევოლუციური მიზნების განსახორციელებლად ქართული ტროცკისტული ცენტრი მჭიდროდ დაუკავშირდა მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების, ხალხის ამ უბოროტესი მტრების ნარჩენებს.

დაწვრილებით გააცნო რა აქტივს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი სამეურნეო და პარტიული მშენებლობის საკითხებზე, ამხ. ლ. ბერიამ მოუწოდა აქტივს მთლიანად გაითვალისწინოს მავნებლობის გაკვეთილები, გამოიჩინოს ბოლშევიკური ყურმახვილობა და სიფხიზლე ყველაფერში, ყველგან და ყოველთვის.

ლაპარაკობს რა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის რეზოლუციაზე ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო, ამხ. ბერია დაწვრილებით ახასიათებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ მობრუნების მნიშვნელობასა და დედაარსს, რომელიც დაკავშირებულია სტალინური კონსტიტუციის შემოღებასთან.

სტალინური კონსტიტუციის შემოღება ნიშნავს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის გატარებას იმ აზრით, რომ იცვლება საბჭოების არა სავსებით თანასწორი არჩევნები—თანასწორით, მრავალსაფეხურიანი—პირდაპირით, აშკარა—ფარულით. ის ცვლილებანი საარჩევნო სისტემაში, რომლებიც სტალინურ კონსტიტუციას შემოაქვს, აძლიერებენ მასების კონტროლს საბჭოთა ორგანოების მიმართ, აძლიერებენ საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა მასების წინაშე. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ახალ, ბოლომდე დემოკრატიულ არჩევნებს მოჰყვება მშრომელთა უფართოესი მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომი გაძლიერება, ახალი მასების ჩაბმა სახელმწიფოს მართვის მუშაობაში, მუშათა კლასის დიქტატურის შემდგომი განმტკიცება. პარტიის წინაშე დგას ამოცანა—სათავეში ჩაუდგეს ამ მობრუნებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სავსებით უზრუნველჰყოს თავისი ხელმძღვანელი როლი ქვეყნის უზენაესი ორგანოების მომავალ არჩევნებში.

— ქვეყნის უზენაესი ორგანოების მომავალი არჩევნები, — ამბობს ამხ. ბერია,—იქნება ნამდვილი გამოცდა ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, ჩვენი მუშაობის უნარის შემოწმება, იგი მოგვთხოვს მთელი ჩვენი ძალებისა და ენერგიის დაძაბვას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არჩევნებისას ადგილი ექნება მტრული აგიტაციის გაძლიერებას. უკვე ამჟამად ადგილი აქვს ანტისაბჭოთა ელემენტების ერთგვარ გამოცოცხლებას, რომლებიც ცდილობენ თავისი მტრული მიზნებისათვის გამოიყენონ ლეგალური შესაძლებლობანი, რომელთაც ახალი კონსტიტუცია იძლევა.

არჩევნებს რომ სათავეში ჩაუდგნენ, პარტიული ორგანიზაციები თვითონ უნდა გარდაიქმნან. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიას მისცა ასეთი გარდაქმნის პროგრამა, პარტიას მისცა მძლავრი ბერკეტი, რომლის დახმარებით ჩვენ სწრაფად უნდა მოვუღოთ ბოლო შინაპარტიული დემოკრატიზმისა და პარტიის წესდების—პარტიული ცხოვრების ურყევი კანონის დარღვევებს.

ამხ. ბერია ამბობს, რომ შინაპარტიული დემოკრატიზმის საფუძვლების უხეშ დარღვევებს, პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის მსხვილ ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოავლინა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ადგილი ჰქონდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებშიც.

ფართოდ იყო გავრცელებული პრაქტიკაში კოოპტაცია პარტიის სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტების პლენუმების შემადგენლობაში. კოოპტაციის გატანება ზოგიერთ რაიკომში იქამდე მიდიოდა, რომ კოოპტირებულთა რაოდენობა სჭარბობდა კანონიერად არჩეულთა რაოდენობას. კერძოდ, ამხ. ბერიას მოჰყავს ფაქტები კოოპტაციის ფართოდ გავრცელებისა პარტიის ბაღდათის, ტყიბულის, ბაშკიჩეთის, ორჯონიკიძის (თბილისი) და სხვა რაიკომებში. საქართველოს 59 რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, თებერვალში ჩატარდა რაიონული პარტიული კონფერენციები და ამჟამად არცერთ რაიკომში არ არიან კოოპტირებულნი. კოოპტირებული წევრები არიან პარტიის საოლქო კომიტეტებისა და თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში, სადაც ჯერ არ ჩატარებულა კონფერენციები. ჩატარებულ კონფერენციებზე პლენუმების შემადგენლობისათვის წამოყენებულ კანდიდატურათა კენჭისყრა მიმდინარეობდა არა სიების მიხედვით, არამედ ცალკეულ კანდიდატურათა მიხედვით. კონფერენციებმა ხელი შეუწყეს პარტიის წესდების დარღვევათა დიდი რაოდენობის გამოსწორებას,—ამბობს ამხ. ბერია,—მაგრამ ეს დარღვევანი, მიუხედავად ჩვენი გაფრთხილებისა, აქა-იქ გრძელდება (ახალქალაქის რაიკომი).

წესდების მრავალ დარღვევას უშვებდნენ პირველადს პარტორგანიზაციებშიც. არღვევდნენ პარტორგანოების არჩევნების იმ ვადებს, რომლებიც წესდებით არის ნაკარნახევი, არ იყო დაცული პარტორგანოების ანგარიშგება. ბევრ პირველადს ორგანიზაციაში საერთო პარტიულ კრებებს სცვლიდნენ საამქრო კრებებით და კონფერენციებით. ასე, მაგალითად, კიროვის სახ. ქარხანაში პარტკომმა თავის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანა 6 წევრი და ეს არც კი უცნობებია პარტიული კრებისათვის. გორის ხეტყის სახერხი ქარხნის პარტორგანიზაციაში პარტკომმა, რომელიც 2 წევრისაგან შესდგებოდა, თავის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანა სხვა 2 წევრი, რომელთაგან ერთი, როგორც შემდეგ გამოირკვა, გამოდგა თეთრგვარდიელი, ხალხის მტერი. მაუდის ფაბრიკაში (თბილისი) საამქრო კრებებზე იხილავდნენ ისეთ / საკითხებსაც კი, რომელთა გადაჭრა მხოლოდ საერთო პარტიულ კრებას შეუძლიან.

ამხ. ლ. ბერიას მოჰყავს მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ დაამახინჯა ლოზუნგი თვითეულ კომუნისტთან მუშაობის შესახებ. მუშაობა თვითეულ კომუნისტთან ამ ორგანიზაციებში შესცვალეს კომუნისტების თვითანგარიშებით, რომლებიც მეტწილად ხელს კი არ უწყობენ კომუნისტის ავანგარდული როლისა და მასებში მისი მუშაობის გამოვლინებას, არამედ წარმოადგენენ კომუნისტის ბიუროკრატულ დაცინვას. თუ რამდენად იყვნენ გატაცებულნი თვითანგარიშებით მთელ რიგ ორგანიზაციებში, ამას გვიჩვენებენ ფაქტები სადგურ ბათუმის პარტორგანიზაციის ცხოვრებიდან, სადაც ერთ კრებაზე ერთბაშად მოისმინეს 23 კომუნისტის თვითანგარიში, ხოლო მეორე კრებაზე, რომელსაც 47 კომუნისტი დაესწრო, მოისმინეს 33 კომუნისტის თვითანგარიში.

ამხ. ბერია ლაპარაკობს იმ ზიანზე, რომელსაც აყენებს პარტიას შინაპარტიული დემოკრატიზმის იმ საფუძვლების დარღვევანი, რომელთაც პარტიის წესდება გვიკარნახებს. ეს დარღვევანი აფერხებენ პარტიის წევრების აქტივობის ზრდას, ხელს უშლიან პარტიული აქტივის კადრების ზრდას, იწვევენ პარტიის წევრთა უფლებების გათელვას, პარტიულ ხელმძღვანელებსა და პარტიის წევრთა მასას შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების დარღვევას.

ამხ. ბერია დაწვრილებით ჩერდება საბჭოთა დემოკრატიის დარღვევის ფაქტებზედაც, რომლებისთვისაც აგრეთვე ეკისრებათ პასუხისმგებლობა პარტიულ ორგანიზაციებს. საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილება ვერ ამჩნევს საბჭოთა დემოკრატიის დარღვევის, ამომრჩეველების უფლებათა ფეხქვეშ გათელვის ფაქტებს, ხოლო თუ ამჩნევს, უყურადღებოდ სტოვებს მათ. მრავალია აგრეთვე პროფკავშირული და კომკავშირული დემოკრატიის დარღვევა.

ლაპარაკობს რა კადრების აღზრდაზე, ამხ. ლ. ბერია აღნიშნავს აუცილებლობას გადაჭრით გაძლიერდეს თვითკრიტიკა, ბრძოლა არათავდაბლობასთან, მლიქვნელობასთან, მაამებლობასთან.

ჯერ კიდევ ამასწინათ, გასული წლის ნოემბერში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მწვავედ გაკრიტიკებულ იქნა მრავალრიცხოვანი ბრტყელ-ბრტყელი პატაკები და მისალმებანი, რომლებსაც გზავნიდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები და რომლებიც იბეჭდებოდნენ ჩვენს გაზეთებში. მაგრამ ამ კრიტიკიდან ყველამ როდი გამოიტანა ჯეროვანი დასკვნები. ამხ. ბერია მწვავედ აკრიტიკებს პარტიის იმ მთელი რიგი რაიკომების მუშაობას, სადაც თავს იჩენს მაამებლობა და მლიქვნელობა, სადაც სუსტად არის განვითარებული თვითკრიტიკა. მომხსენებელი აქტივს მოუწოდებს ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისაკენ. იგი აღნიშნავს, რომ თვითეულ პარტიულ მუშაკს, თვითეულ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ თავმდაბლობა — ბოლშევიკის განმასხვავებელი თვისებაა, რომელიც მან უნდა გამოიჩინოს მუშაობაშიაც, ყოფაცხოვრებაშიაც და მთელ თავის ცხოვრებაშიაც.

გადასცემს რა აქტივს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ **სტალინის** გამოსვლის შინაარსს, ამხ. ბერია ხაზგასმით აღნიშნავს იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც დგანან საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე კადრების ბოლშევიკური აღზრდის საქმეში.

ტექნიკის დაუფლების ლოზუნგს პარტია ახლა უმატებს ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგს. ჩვენს კადრებს უნდა შევასწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერება, გავხადოთ ისინი ნამდვილ მარქსისტ-ლენინელებად, გავაფართოვოთ მათი პოლიტიკური ჰორიზონტი. დავეუფლოთ ბოლშევიზმს — ასეთ ამოცანას აყენებს დიდი **სტალინი** ჩვენი კადრების წინაშე.

მოჰყავს რა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი ჩვენი კადრების ბოლშევიკური აღზრდის დარგში, მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს თვითეული პარტიული ხელმძღვანელის მოვალეობას — მოამზადოს თავისი მოადგილენი, იმათი შემცვლელნი, რომელნიც მიდიან სასწავლებლად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილ კურსებზე.

ამხ. ბერია აღნიშნავს პარტიული პროპაგანდის, აგიტაციის, ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის, მასების ინტერნაციონალურად აღზრდისა და პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების აუცილებლობას. იგი ამბობს, რომ აუცილებლად საჭიროა ქალაქის, როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადი ბაზის, მნიშვნელობის აღდგენა. კერძოდ, კიდევ უფრო უნდა ავამაღლოთ თბილისის, როგორც რესპუბლიკაში პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის ძირითადი ბაზის როლი. რასაკვირველია, თბილისის ორგანიზაცია უკვე ის არ არის, რაც 5-6 წლის წინათ იყო, მაგრამ მან ბევრი რამ უნდა გააკეთოს, რათა შეასრულოს ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამხანაგ **სტალინის** მითითებებიდან ქალაქის როლის შესახებ.

მოაგონებს რა აქტივს იმას, რომ საქართველო მოსაზღვრე რესპუბლიკაა, რომ აქ ოდესღაც ძლიერნი იყვნენ კონტრრევოლუციური პარტიები, რომ აქ მოქმედებდნენ საზიზღარი ნაციონალ -უკლონისტები, რომლებიც უკვე დიდიხანია ჩაეშვნენ ტროცკისტული კონტრრევოლუციის საზიზღარ ჭაობში, ამხ. ბერია კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს პარტიული ორგანიზაციებისა და საქართველოს ყველა ბოლშევიკის შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების ამოცანებს.

— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ **სტალინის** მითითებანი, — ამბობს დასასრულ ამხ. ლ. ბერია, — უაღრესად სერიოზულ ამოცანებს აყენებენ ყველა პარტიული ორგანიზაციის წინაშე. პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ **სტალინის** მითითებებში ღრმად ჩაწვდენა, მათი განხორციელებისათვის ბოლშევიკური ბრძოლა — თვითეული კომუნისტის მოვალეობაა. საქართველოს ბოლშევიკებმა და პირველ რიგში მათმა მოწინავე რაზმმა — თბილისის ორგანიზაციამ—სწრაფად უნდა გარდაჰქმნან თავისი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რათა წარმატებით შეასრულონ ახალი დიადი ამოცანები, რომლებსაც სტალინური კონსტიტუცია აყენებს. გარდაჰქმნიან რა თავის მუშაობას, საქართველოს ბოლშევიკები, და მათი ხელმძღვანელობით, მუშები, კოლმეურნენი და საქართველოს ყველა მშრომელნი წავლენ **ლენინ-სტალინის** დიადი საქმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

კამათი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გამო

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შემდეგ გაიშალა გაცხოველებული კამათი. ყველა გამოსული ერთსულოვნად იწონებდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და აღნიშნავდა მათს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მთელი პარტიული მუშაობის რადიკალურად გარდაქმნისა და გადაჭრით ამაღლებისათვის, შინაპარტიული დემოკრატიისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლისათვის. დავეუფლოთ ბოლშევიზმს, გავაუმჯობესოთ მუშაობა კომუნისტთა აღზრდისათვის, განვამტკიცოთ კავშირი მასებთან, დაუღალავად ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის სიფხიზლე, სათავეში ჩავუდგეთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ მობრუნებას, რაც დაკავშირებულია სტალინური კონსტიტუციის შემოღებასთან—აი რა იყო ძირითადი კამათში. პარტიული აქტივი მრავალი მაგალითის მიხედვით, ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე, ააშკარავებდა თბილისის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დეფექტებს.

გამოსულნი ერთსულოვნად იწონებდნენ ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვას პარტიიდან მათი გამცემლური და მოღალატური მუშაობისათვის და მოუწოდებდნენ ამხანაგებს — გააძლიერონ სიფხიზლე, ისწავლონ ადამიანთა და მათი საქმეების შემოწმება და შეფასება, როგორც წესი და რიგია.

კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **კოჭლაძე**—26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი. მან მთელი რიგი მაგალითებით დაასურათა პარტიის წესდების უხეში დარღვევანი, რომლებსაც პირველადს ორგანიზაციებში უშვებდნენ.

— ჩვენს პირველადს პარტორგანიზაციაში შექმნილი იყო საამქრო პარტორგანიზაციები, თუმცა ჩვენთან 100-ზე ნაკლები კომუნისტია. არღვევდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წესდებასა და მითითებებს პარტიული მეურნეობის შესახებ; დიდი ხნის განმავლობაში საწევრო შესატანთა შეგროვებას აწარმოებდა არა პარტკომის მდივანი, არამედ საამქროების პარტორგები.

ხოლო როგორ რიცხავდნენ ჩვენთან ადამიანებს პარტიიდან! საამქროს პარტორგანიზაცია პარტიიდან გარიცხავს კაცს, პარტკომი დაადასტურებს—მორჩა და გათავდა. კომუნისტებმა არც კი იცოდნენ, თუ რისთვის გარიცხეს პარტიიდან ესათუის კაცი.

ამხ. **ოგანეზოვმა** — თბილისის ტრამვაის პარტკომის მდივანმა — გააცნო აქტივს პარტიის წევრთა უფლებების გაქელვის, ცალკეულ კომუნისტთა სიფხიზლის მოდუნების ფაქტები.

— პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის დროს ჩვენს პარტორგანიზაციაში გარიცხეს დიდძალი ხალხი, რომლებიც არ იყვნენ **ლენინ-სტალინის** პარტიის რიგებში ყოფნის ღირსნი. ჩვენ დავინტერესდით, თუ ამ ადამიანებმა თავის დროს როგორ შესძლეს მოხვედრილიყვნენ პარტიის რიგებში? წინა წლების ოქმებიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ ოდესღაც ტრამვაის პარტკომთან არსებობდა მიმღები კომისია, რომელსაც მეთაურობდა ხალხის მოსისხლე მტერი. პარტიაში ღებულობდნენ დასტობით, განურჩევლად.

ამხ. ოგანეზოვი ლაპარაკობს ტრამვაის მთელ რიგ სამეურნეო მუშაკთა შეცდომებზე, აღნიშნავს დეფექტებს პარტიის რაიკომის კადრების განყოფილების მუშაობაში, რომელიც სუსტ დახმარებას უწევს პირველადი ორგანიზაციების მუშაკებს.

ამხ. ოგანეზოვი ამაში მთელ დანაშაულს მხოლოდ რაიკომის კადრების განყოფილებას აკისრებს. კრება სიტყვას აწყვეტინებს ორატორს რეპლიკებით:

— გვიამბეთ, როგორ ხელმძღვანელობდა რაიკომი თქვენს ორგანიზაციას?

და მაშინ ამხ. ოგანეზოვი ამბობს, რომ რაიკომი არ სწავლობს ოქმებს, რომლებსაც პირველადი ორგანიზაციები უგზავნიან, არ უკეთებს მათ შენიშვნებს, არამედ პირდაპირ დაითვლის ხოლმე ამ კომუნისტთა რაოდენობას, რომლებიც კრებას დაესწრნენ.

ამხ. **თვალჭრელიძე** — პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი — ლაპარაკობს იმ დეფექტებზე, რომლებიც ახასიათებენ რაიკომის მუშაობას პირველადი ორგანიზაციებისა, პროპაგანდისა და აგიტაციისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

— 3 წლის განმავლობაში, მიმდინარე წლის თებერვლის უკანასკნელ რაიონულ კონფერენციამდე რაიკომს არ ჩაუბარებია ანგარიში ორგანიზაციისათვის, რომელმაც იგი აირჩია. ფართოდ იყო გავრცელებული პარტკომის წევრების კოოპტაციის პრაქტიკა. ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის, ამიერკავკასიის რკინიგზის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიიდან გარიცხვას აწარმოებდა პარტკომი, საერთო პარტიული კრების მიერ დაუმტკიცებლად.

ამხ. თვალჭრელიძე ლაპარაკობს, რომ რაიკომმა ვერ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე, რათა თავის დროზე გამოემჟღავნებინა კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი-მავნებელი კ. ოდილავაძე, რომელიც თავის საზიზღარ მავნებლურ მუშაობას ეწეოდა ავტოსარემონტო ქარხანაში, და ხალხის სხვა მტრები, რომლებიც იმალებოდნენ და ზიანს გვაყენებდნენ რაიონის მთელ რიგ საწარმოებში.

— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი გვასწავლიან ნამდვილ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, იმის უნარს, რომ ვამხილოთ მტერი რა ნიღაბქვეშაც უნდა იმალებოდეს იგი.

კრების მქუხარე მოწონებით ამხ. თვალჭრელიძე და სხვა ორატორები მოითხოვენ ამხ. ზ. მათიკაშვილისაგან, თ. ჟღენტისაგან, საბაშვილისაგან, ფირცხალავასაგან, ს. მეგრელიშვილისაგან და სხვებისაგან, რომლებიც ერთდროს ნაციონალ-უკლონიზმს ემხრობოდნენ, ბოლომდე მოუთხრონ აქტივს თავიანთი შეცდომების ამბავი, იმ კავშირის ამბავი, რომელიც მათ ჰქონდათ ქართული კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრის წევრებთან — საბჭოთა ხალხის გამცემლებთან და მოღალატეებთან.

ამხ. **კიზირია** (მე-3 განყოფილების პოლიტგანყოფილება) ამბობს, რომ გზის პარტორგანიზაციამ ვერ შესძლო თავის დროზე ემხილა გზაზე დიდხანს მომქმედი ფაშისტი, მავნებელი და დივერსანტი როზენცვეიგი და მისი თანამონაწილეების ბანდა.

გზის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების მოვალეობაა — გააკეთონ ყველა დასკვნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ბოლომდე აღმოფხვრან მავნებლობის შედეგები, გააძლიერონ სიფხიზლე, მიაღწიონ გზის ყველა უბნის ზუსტ მუშაობას.

ამხ. **რუსიშვილი** („სარეწაო კავშირი") თავის გამოსვლაში დაწვრილებით ჩერდება რიკოვის საზიზღარი ანტიპარტიული, გამცემლური და მოღალატური საქმიანობის ფაქტებზე, რისთვისაც იგი ბუხარინთან ერთად პარტიიდან გარიცხა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმმა. შემდეგს ორატორს, ამხ. **ნიკიტინს** (ტრესტი „კავშენგზა") მოჰყავს იმის ფაქტები, თუ როგორ უშლიდა ხელს უდარდელობა ხალხის იმ მტრების მხილებას, რომელნიც გზაზე მოქმედებდნენ. იგი მკაცრად აკრიტიკებს ტრესტ „კავშენგზის" უფროსის საბაშვილის საქმიანობას.

სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. **კარანაძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმაზე, რომ ირღვეოდა პარტიული ორგანოების ანგარიშგება, დაწესებული საკ. კ. პ. (ბ) წესდებით, აგრეთვე ილაპარაკა თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტებზე.

— მე ვმუშაობდი ყარაიას რაიკომის, 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივნად, ახლა კი ვმუშაობ სტალინის რაიკომის მდივნად და განთავისუფლებისას არსად არ ჩამიბარებია ჩემი მუშაობის ანგარიში, —ამბობს ამხ. კარანაძე.

ორატორს მოჰყავს იმის მაგალითები, თუ, თვითკრიტიკის სუსტად გაშლის შედეგად, როგორ აძლევდნენ ლიბერალურ შეფასებას პარტკომის მუშაობას რაიონის მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში. ასე, მაგალითად, თბილისის უნივერმაღის პარტიულმა კრებამ, განიხილა რა პარტკომის ანგარიში, „სავსებით დამაკმაყოფილებლად" ჩასთვალა მისი მუშაობა. ამ კრებას დაესწრო რაიკომის მეორე მდივანი ამხ. კარნიცკი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ამ ორგანიზაციისა და პარტკომის მუშაობაში გამოაშკარავებულ იქნა მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი.

რაიკომი სუსტად ეხმარება პირველადს ორგანიზაციებს შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ამხ. კარანაძე ამბობს, რომ თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება არასაკმაო დახმარებას უწევს პარტიის რაიკომებს პროპაგანდის ორგანიზაციაში, პროპაგანდისტთა შერჩევაში. ნაკლებ დახმარებას გვიწევს აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა, რომელიც არასაკმაოდ ზრუნავს პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემაზე.

ამხ. **თათანაშვილი (სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა) ამბობს, რომ ქარხანამ 1936 წელს ქვეყანას დააკლო 28 ორთქლმავალი და 1937 წლის 2 თვის განმავლობაში—14 ორთქლმავალი. ეს არის ტროცკისტი არაპზადების—გზის ყოფილი უფროსის როზენცვეიგისა და თოფურიძის მავნებლობის შედეგი; უკანასკნელი მუშაობდა ქარხნის დირექტორად. ჩვენი, კომუნისტებისა და ქარხნის ხელმძღვანელების სიფხიზლის მოდუნების შედეგად,—ამბობს ამხ. თათანაშვილი, — მათ შესაძლებლობა მიეცათ დიდხანს ეწარმოებინათ მავნებლობა.

პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელი ამხ. **მარო მაჩაიძე** აკრიტიკებს პარტიის თბილისის კომიტეტისა და რაიკომის მხრივ პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობას. მისი მუშაობის 4 წლის განმავლობაში პროპსემინარის მეცადინეობას მხოლოდ ერთხელ, ამ ცოტა ხნის წინათ, დაესწრო 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. გიორგობიანი. იმაზე, რომ მოდუნებულია ცალკეულ მუშაკთა სიფხიზლე 26 კომისრის სახელობის რაიკომში, სადაც ინსტრუქტორად მუშაობდა ამჟამად გამომჟღავნებული ტროცკისტი, ლაპარაკობს რაიკომის მეორე მდივანი ამხ. **აივაზოვი.**

მოჰყავს რა რაიონის მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში პარტიის წესდების უხეშად დარღვევის ფაქტები, ორატორი ლაპარაკობს, რომ პარტიის თბილისის კომიტეტის პარტიული კადრების განყოფილება, პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილება არასაკმაოდ ეხმარებიან პრაქტიკულ მუშაობაში რაიკომებსა და პარტიულ ორგანიზაციებს. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი. ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტკომის მდივანთან ამხ. ჩერნიკოვთან რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობის შესამოწმებლად იყო 8 მუშაკი, რომლებსაც მისთვის პრაქტიკული დახმარება არ გაუწევიათ.

პარტიული აქტივის კადრების აღზრდის მუშაობაში არსებულ დეფექტებზე ლაპარაკობს აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, პარტკომის მდივანი ამხ. **იგითხანოვი.**

— ჩვენ გვყავს 48 ძირეული აგიტატორი. მაგრამ ბევრი მათგანის მუშაობის ხარისხი არ არის მაღალი. მათ უნდა ვასწავლოთ ბოლშევიკური აგიტაციის ხელოვნება, შევაიარაღოთ **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** თეორიის ღრმა ცოდნით. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამაში ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტას გვეხმარება პარტიის რაიკომი, კერძოდ მისი კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება.

ამხ. **რაფავამ** (შინსახკომი) გააცნო აქტივს საქგზატრანსში მავნებლობის აღმოჩენის ფაქტები.

ამხ. **მირზოიანმა** (ტყავეულობის ქარხნის პარტკომის მდივანი) მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები იმისა, თუ ცალკეულ პარტორგანიზაციებში ზოგჯერ როგორ არაგულისხმიერად ეკიდებიან კომუნისტს. საჭირო იყო 3-ნახევარი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე სიარული ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში, რომ აეყვანათ კომუნისტი აღრიცხვაზე.

ამხ. **დემეტრაძე** (თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების გამგე) ამბობს, რომ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახული ახალი ამოცანების თვალსაზრისით, პარტიული პროპაგანდა ძალიან ცუდად არის დაყენებული და განყოფილება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

თბილისის ორგანიზაციაში მუშაობს 700 პროპაგანდისტი. მათს უმრავლესობას ესაჭიროება სერიოზული მუშაობა პოლიტიკური და საერთო კულტურული დონის ასამაღლებლად. მაგრამ პარტიის მთელი რიგი რაიკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პროპაგანდისტთა მომზადებას. თბილისის კომიტეტმა ძლივს შესძლო პროპაგანდისტთა ამასწინათ შექმნილი ექვსთვიანი სკოლის მოწყობა, ვინაიდან რაიკომები კურსებზე გზავნიდნენ არა საუკეთესო და ნიჭიერ ამხანაგებს, არამედ ისეთებს, რომლებიც მათ მაინცადამაინც არ სჭირდებოდათ. ამის შედეგად გვიხდებოდა ხელახლა შეგვერჩია მსმენელები სკოლაში. ამხ. დემეტრაძემ აგრეთვე აღნიშნა საგიტაციო მუშაობისა და ძირეული პრესის ხელმძღვანელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა თბილისის პარტორგანიზაციებში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. არუთინოვი** თავის გამოსვლაში დაწვრილებით ჩერდება ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში კოოპტაციის გავრცელების, ხელმძღვანელ პარტმუშაკთა არჩევნობის დანიშვნით შეცვლის, პარტორგანოთა ანგარიშგების დარღვევის ფაქტებზე.

ამხ. არუთინოვი კონკრეტული მაგალითებით ასურათებს არაგულისხმიერ დამოკიდებულებას რიგითი კომუნისტებისადმი ქალაქის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში. ცოტა არაა ისეთი ფაქტები, როდესაც პარტიიდან რიცხავენ უმნიშვნელო დანაშაულისათვის. პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის დროს პარტიიდან ეგრეთწოდებული „პასიურობისათვის" გარიცხულია 687 კაცი. 427 აპელაციის განხილვის შედეგად დადასტურებულ იქნა მხოლოდ 17 გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ, პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის დროს გარიცხული დანარჩენი პირები აღდგენილი არიან პარტიის რიგებში ან და გადაყვანილი არიან კანდიდატებად და თანამგრძნობებად. ბოლო უნდა მოეღოს პარტიიდან ადამიანთა გარიცხვის საკითხისადმი მოუფიქრებელი მიდგომის ფაქტებს.

ამხ. არუთინოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კადრების შერჩევისა და აღზრდის საკითხს. მან გვიჩვენა, რომ ცალკეული პარტიული მუშაკები კადრების შერჩევას აწარმოებენ არა საქმიანი ნიშნით, არამედ პირადი ზერელე ნაცნობობისა და მათთან მეგობრობის ნიშნით. ეს ჰქმნის შინაურულობის, მაამებლობისა და ჩინთაყვანისმცემლობის ატმოსფეროს. ამხ. არუთინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა იმ ადამიანთა გულმოდგინედ შერჩევა, რომლებიც სასწავლებლად იგზავნებიან. დღემდე იყო შემთხვევები, როდესაც სასწავლებლად გზავნიდნენ უღირსს, მუშაობის უნარმოკლებულ ადამიანებს, ხოლო ზოგჯერ პარტიისა და ხალხის პირდაპირ მტრებსაც. სასწავლებლად უნდა გავგზავნოთ ყველაზე შემოწმებული, ყველაზე მტკიცე და პოლიტიკურად გამოწრთობილი, ყველაზე ნიჭიერი ადამიანები.

— რამდენიმე დღის შემდეგ, — ამბობს ამხ. არუთინოვი, — პირველადს ორგანიზაციებში დაიწყება პარტიულ კომიტეტთა ანგარიშები და არჩევნები კანდიდატთა დახურული (ფარული) კენჭისყრით. თბილისის ორგანიზაციის აქტივისა და ყველა კომუნისტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, [illegible] თვითკრიტიკის საფუძველზე გამოაშკარავოს მუშაობის ყოველგვარი ნაკლი, ჩაატაროს არჩევნები შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების, პარტიული მუშაობის აღმავლობის ნიშნით, შეარჩიოს თავისი წრიდან პარტიულ ორგანოებში ყველაზე მტკიცე, ღირსეული ბოლშევიკები, უსაზღვროდ ერთგულნი საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა საყვარელი ბელადის — დიდი **სტალინისა.**

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ ამხ. **საბაშვილი, მათიკაშვილი, ს. მეგრელიშვილი და ა. ფირცხალავა,** რომლებმაც ილაპარაკეს თავიანთ შეცდომებზე იმ პერიოდში, როდესაც ისინი კონტრრევოლუციურ ნაციონალ - უკლონიზმს ეკუთვნოდნენ.

აქტივმა სასტიკად გააკრიტიკა მათი გამოსვლები, მოითხოვა რა მათგან ბოლომდე, პატიოსნად და სიმართლით აღიარონ თავიანთი შეცდომები, უამბონ აქტივს, თუ რა კავშირი ჰქონდათ მათ ხალხის უსაზიზღრეს მტრებთან — კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან ბ. მდივანთან, მ. ტოროშელიძესთან, მ. ოკუჯავასთან, პ. აღნიაშვილთან და საქართველოს გამომჟღავნებული ტროცკისტული ცენტრის დანარჩენ წევრებთან.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის ამხ. **მირცხულავას** გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის საკითხებს. რაიონში 11 უმაღლესი სასწავლებელია. სასწავლებელთა დიდ ხვედრითს წონას რაიონში უნდა აეძულებინა პარტიული ორგანიზაცია სერიოზული ყურადღება მიექცია მათი საქმიანობისათვის, მოეგვარებინა ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტობაში. მაგრამ პარტორგანიზაცია და რაიკომი ამ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამის შედეგად კომუნისტები ბევრ შემთხვევაში ვერ ახორციელებენ ავანგარდულ როლს სწავლებაში, აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტობაში ცუდად არის დაყენებული, და ამით სარგებლობს მტერი თავისი საზიზღარი მავნებლური მუშაობის გასაწევად.

ამხ. **ფილიპე მახარაძე** აღნიშნავს თავის შეცდომებს წარსულში და ლაპარაკობს თავის სიტყვაში იმ უდიდეს, ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ სტალინის მითითებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცების, ხალხის მტრებთან ბრძოლაში რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების საქმეში.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორდენოსანი სტახანოველი ამხ. **ხალიაპინი** აცხადებს:

— ჩვენ ჯერ არ გვახსოვს ასეთი აქტივი, როგორიც დღევანდელი კრებაა. უკვე მესამე დღეა გრძელდება კრება, და არ გინდა აქედან წახვიდე. აქტივის ამ კრებაზე ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ.

ამხ. ხალიაპინი აკრიტიკებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და პოლიტგანყოფილების მუშაობას. პოლიტგანყოფილებამ ვერ შესძლო თავის დროზე ემხილებინა ფაშისტი როზენცვეიგი და მისი ბანდა მავნებლებისა.

ამხ. **მუშიშვილი** —გაზეთი „კომუნისტის" რედაქტორი, ლაპარაკობს რა პარტიული ბეჭდვითი სიტყვის იმ ამოცანებზე, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, აღნიშნავს გაზეთების არასაკმაო მუშაობას ბოლშევიკური თვითკრიტიკის განსავითარებლად.

პარტიის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. **ბირიუკოვი** ლაპარაკობს მცირერიცხოვანი პირველადი ორგანიზაციების არასაკმაო ხელმძღვანელობაზე. მას მოჰყავს იმის მაგალითები, თუ იმ ორგანიზაციებში, სადაც არ არის ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა, როგორ იქმნება პირობები ტროცკისტ ჯაშუშების, მავნებლებისა და დივერსანტების ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. ამის მაგალითია ბამბის ფაბრიკა, სადაც დიდხანს გამოუმჟღავნებელი რჩებოდა ხალხის საზიზღარი მტრების ჯგუფი.

ამხ. **ჯანაშია** (სახელმწიფო ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორი) აცნობს აქტივს ტროცკისტი მავნებლის ოდილავაძის საძაგელ კონტრრევოლუციურ ძირგამომთხრელ მუშაობას, ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ღებულობენ მავნებლობის შედეგთა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

ამხ. **პუგაჩევმა** (საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი) აქტივის კრებაზე ილაპარაკა პროფკავშირული დემოკრატიის უხეშ დარღვევებზე, პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტ მუშაობაზე.

ამხ. **კვანტალიანმა** (ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე) აღიარა, რომ მას გზის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად არ გამოუყვანია ყველა დასკვნა ამხანაგ **სტალინის** მიერ არაერთგზის მოცემული მითითებებიდან სიფხიზლის გაძლიერების შესახებ, რომ მან ვერ შესძლო ემხილებინა ტროცკისტი ბანდიტი როზენცვეიგი და რკინიგზაზე მოკალათებული სხვა მავნებლები.

ამხ. გორიაჩოვმა მკაცრად გააკრიტიკა ამხ. ს. მეგრელიშვილის, თენგიზ ჟღენტისა და სხვების მუშაობა და ქცევა, რომლებმაც არსებითად არაფერი უთხრეს აქტივს თავის კავშირურთიერთობაზე მხილებული ქართული ტროცკისტული ცენტრის წევრებთან.

ამხ. **რ. დოლაქიშვილი** (კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი) თავის სიტყვაში ლაპარაკობს იმ დასკვნებზე, რომლებიც უნდა გამოიყვანოს კომკავშირულმა ორგანიზა-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

დასასრული

ციამ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ბოლო უნდა მოეღოს შინასაკავშირო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს, კომკავშირის წევრების უფლებათა გათელვის ფაქტებს, უკეთესად უნდა მოეწყოს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმე. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან უკეთესად უხელმძღვანელონ კომკავშირის მუშაობას.

ამხ. **კაიშაური** (ამიერკავკასიის რკინიგზა) ამბობს, რომ რკინიგზის პარტორგანიზაციაში მოდუნებული იყო სიფხიზლე, გავრცელებული იყო შინაურულობა, მლიქვნელობა და მაამებლობა, სარგებლობდნენ რა ამით, ტროცკისტი ბანდიტი როზენცვეიგი და სხვა მავნებლები ახერხებდნენ ეწარმოებინათ თავიანთი საზიზღარი ძირგამომთხრელი მუშაობა. ამხ. კაიშაური მწვავედ აკრიტიკებს რკინიგზის პოლიტგანყოფილების მუშაობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. გოგეშვილმა** თავის სიტყვაში ცხადჰყო დიდი ნაკლოვანებანი თბილისის პარტიული ორგანიზაციების, რაიკომების მუშაობაში კადრების შერჩევის, პირველადს ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის გაწევის, პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების მხრივ. თებერვალში ჩატარებულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, 76 პირველადს ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად იცნეს პარტკომთა და პარტორგთა მუშაობა. ბევრი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი აქვს ადმინისტრირებას (უნივერმაღი), ხელმძღვანელობის კანცელარულ - ბიუროკრატული მეთოდების ელემენტებს (ავტოსარემონტო ქარხანა და სხვ.). არის ფაქტები, როდესაც თვითკრიტიკას „არეგულირებენ". ასე, „ზარია ვოსტოკას" კომბინატის პარტორგანიზაციაში ჩვეულებრივ მხოლოდ სტამბის მუშაობას აკრიტიკებენ.

ამხ. გოგეშვილი ამბობს, რომ კამათში გამოსულნი ნაკლებად აკრიტიკებდნენ თბილისის კომიტეტის მუშაობას. იგი აღნიშნავს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ აქტივთან, უკეთ უნდა ჩააბან აქტივი იმ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დგანან პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

ამხ. **გიორგობიანი** — 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი— აღნიშნავს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს პარტორგანოების არჩევნებისას კანდიდატების ფარულ კენჭისყრას, რაც დაწესებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის მიერ. იგი ლაპარაკობს რაიკომის მიერ პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის არასწორი მეთოდების ფაქტებზე. ინსტრუქტორები ხშირად ერთი დღის განმავლობაში ათ პირველადს ორგანიზაციას შემოივლიან ხოლმე, მაგრამ ასეთი გასტროლები, რა თქმა უნდა, დახმარებას ვერ გაუწევს მათ. რაიკომის მდივნებს კომუნისტებთან უმეტეს შემთხვევებში ურთიერთობა აქვთ პარტკომთა მდივნებისა და პარტორგების საშუალებით. ჩვენი აქტივი, მათ შორის რაიკომთა მდივნების, ჯერ კიდევ ცუდად სწავლობენ, და ეს საგრძნობლად აიხსნება იმით, რომ ჩვენ დიდხანს ვსხედვართ იმ სხვადასხვა თათბირის სხდომებზე, რომელთა მოწვევა ზოგჯერ აუცილებელი არ არის. ამხ. გიორგობიანმა გააკრიტიკა აგრეთვე თბილისის კომიტეტის მუშაობა. თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორები, როგორც წესი, რაიკომებსა და პირველადს ორგანიზაციებში მხოლოდ მაშინ არიან ხოლმე, როდესაც დავალებული აქვთ საკითხების დამუშავება საქალაქო კომიტეტის ბიუროსათვის.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. **ლევანდოვსკიმ** მოუწოდა აქტივს — გამახვილოს შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე და გააძლიეროს თავდაცვითი მუშაობა.

შემდეგ გამოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. პავერმანი. მან სწორად მიიჩნია გზის პოლიტგანყოფილებისა და სამმართველოს მუშაობის კრიტიკა, რომელიც აქტივის კრებაზე გაიშალა. მან სთქვა, რომ გზის პოლიტგანყოფილებას და მას, როგორც პოლიტგანყოფილების ყოფილ უფროსს, ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავის დროზე არ იყვნენ მხილებულნი გათახსირებული ტროცკისტი არამზადები, რომელნიც დიდხანს ეწეოდნენ მავნებლობას გზაზე. ამხ. პავერმანმა გააცნო აქტივს ის ღონისძიებანი, რომლებიც ტარდება მავნებლობის შედეგთა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის და გზის მუშაობის ამაღლებისათვის.

ამხ. ლ. ბერიას საბოლოო სიტყვა

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. **ლ. ბერია** გამოვიდა საბოლოო სიტყვით. ამხ. ლ. ბერიამ აღნიშნა, რომ აქტივი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკით აშკარავებს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს პარტიული, სამეურნეო და სხვა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში.

იხილავს რა ცალკეულ გამოსვლებს, ამხ. ბერია აღნიშნავს, რომ კრების ჯერ კიდევ არა ყველა მონაწილემ გაიგო ბოლომდე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა უდიდესი აზრი.

ამხანაგი **სტალინი** თავის გამოსვლაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამბობდა, რომ ჩვენმა ამხანაგებმა გამოიჩინეს უდარდელობა და თვითკმაყოფილება და ხშირად ვერ ახერხებდნენ მტრების გამოცნობას, რომლებიც ეწეოდნენ მავნებლობას, ჯაშუშობას, აწყობდნენ დივერსიებს და დიდხანს ნიღაბაუხდელნი რჩებოდნენ. ამხანაგ **სტალინის** ეს მითითება შეეხება ჩვენს თბილისის პარტიულ ორგანიზაციასაც. უკვე პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის შემდეგ თბილისის ორგანიზაციაში მხილებულ იქნენ კონტრრევოლუციონერები— ტროცკისტები. რას გვეუბნება ეს? იმას, რომ ისინი ვერ ამხილეს პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის პერიოდში, გამოიჩინეს უდარდელობა. საზიზღარი არამზადები— ქართული ტროცკისტული ცენტრის წევრები იმყოფებოდნენ თბილისში, აქ ეწეოდნენ ისინი თავის კონტრრევოლუციურ მავნებლურ საქმიანობას.

ამხ. ბერია დაწვრილებით ლაპარაკობს იმის მიზეზებზე, თუ რატომ ეწეოდნენ ტროცკისტი ბანდიტები მავნებლობას, ჯაშუშობას, სჩადიოდნენ საზიზღარ დანაშაულთ და დიდხანს რჩებოდნენ ნიღაბაუხდელნი. თბილისის კომიტეტი და რაიკომები რომ უფრო ახლოს დაჰკვირვებოდნენ თავის დროზე იმ ორგანიზაციების მუშაობას, სადაც ტროცკისტები აღმოჩნდნენ, ჩვენს აქტივს რომ უკეთ ედევნებინა თვალი ადამიანებისათვის და შეესწავლა ადამიანები, ყოფილიყო უფრო ფხიზელი—მტრები თავის დროზე იქნებოდნენ მხილებული. ძალიან ხშირად ჩვენ არა გვაქვს მუშაობის სისტემა და არ ხდება ადამიანთა შემოწმება.

— დაე, ნურავინ იფიქრებს,—ამბობს ამხ. ბერია,—რომ ჩვენ უკვე ყველა მტერი ვამხილეთ და მოვსპეთ. ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის, რომ მოგველის მწვავე ბრძოლა, შემდეგში კი იგი კიდევ უფრო მწვავე იქნება.

ამხ. ბერია კვლავ მოუწოდებს აქტივს გააათკეცოს თავისი სიფხიზლე, ამხილოს ხალხის ყველა, ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი მტერი. იგი ამბობს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი გვავალებენ უკეთ ვუხელმძღვანელოთ თვითეულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, ვიმუშაოთ თვითეულ კომუნისტთან, განვამტკიცოთ კავშირი მასებთან.

— საჭიროა,—ამბობს ამხ. ბერია, —რომ პირველადი ორგანიზაციის მდივანი კარგად იცნობდეს ყველა თავის კომუნისტს, ქარხნის, ფაბრიკის, დაწესებულების უპარტიო აქტივს. საჭიროა, რომ რაიკომის მდივანი იცნობდეს პირველადს ორგანიზაციას იმაზე უფრო უარესად არა, ვიდრე მას იცნობს პირველადი ორგანიზაციის კარგი მდივანი. არ უნდა დაველოდოთ რაიმე საბაბის გამოჩენას, რათა რაიკომის მდივანი წავიდეს პირველადს ორგანიზაციაში. ჩვენთან იმდენი მოუწესრიგებლობა და ნაკლია საწარმოებში, რომ რაიკომის მდივანი მთელი დღეებით რომ იჯდეს ქარხანაში, იგი მაშინაც ნახავს თავისთვის სამუშაოს. თბილისის კომიტეტმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს კავშირი და ხელმძღვანელობა რაიკომებისა და პირველადი ორგანიზაციების მიმართ. საჭიროა უფრო ხშირად მოვიწვიოთ აქტივის კრება, უკეთ ვიმუშაოთ მასთან, კარგად ვიცნობდეთ მას.

საჭიროა პირდაპირ ითქვას, არ შეიძლება დუმილით ავუხვიოთ გვერდი იმას, რომ არც თბილისის კომიტეტია ძალიან მტკიცედ დაკავშირებული პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან.

ამხ. ბერია მიუთითებს პარტიული პროპაგანდის ამაღლების ამოცანებზე, კვლავ აღნიშნავს აუცილებლობას ამაღლებულ იქნას ქალაქის, როგორც რესპუბლიკაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადი ბაზის როლი. თბილისის პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს კ. პ. (ბ) მოწინავე ორგანიზაცია — უნდა ამზადებდეს ბოლშევიკურ კადრებს არა მარტო იმისათვის, რომ ამ კადრებით დააკმაყოფილოს თავისთავი, არამედ იმისთვისაც, რომ ერთგული, მომზადებული, გამობრძმედილი მუშაკების კადრები მიაწოდოს საქართველოს რაიონებსაც.

— ჩვენ მტკიცედ, ახლებურად უნდა გარდავქმნათ ჩვენი მუშაობა, — ამბობს ამხ. ბერია. იგი აღნიშნავს აქტივის, კადრების დაწინაურების რეზერვის სწავლებისა და აღზრდის ამოცანებს. ნიჭიერი ადამიანები ჩვენთან ბევრნი არიან, საჭიროა მათი გამონახვის, გამოზრდისა და დაწინაურების უნარი.

ლაპარაკობს რა საბჭოების მუშაობაზე, ამხ. ბერია აღნიშნავს საბჭოს კომუნისტ-დეპუტატის მოვალეობას აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა მუშაობაში და გაამართლოს ამომრჩეველთა ნდობა.

ახლა, როდესაც განსაკუთრებული ძალით ისმება პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის ამაღლების საკითხები, ზოგიერთ პარტიულ მუშაკს სურს მოიხსნას პასუხისმგებლობა სამეურნეო საქმეებისათვის. ამას არაფერი აქვს საერთო პარტიის ხაზთან. პარტიული მუშაობის ამაღლება ითვალისწინებს ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებასაც სამეურნეო დარგში. უნდა ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას, მაგრამ კი არ უნდა შევცვალოთ სამეურნეო ორგანოები, არამედ ვიმოქმედოთ მათი საშუალებით.

შემდეგ ამხ. ბერია ჩერდება ზოგიერთი ყოფილი ნაციონალ-უკლონისტების გამოსვლებზე და იმ მკვეთრ და სამართლიან კრიტიკაზე, რომლის ქარცეცხლშიც გაატარა მათი გამოსვლები და საქციელი აქტივის კრებამ.

დასასრულ ამხ. ბერია ლაპარაკობს აქტივის ამოცანებზე პარტიული ორგანოების მომავალი არჩევნების ჩატარებაში კანდიდატთა დახურული (ფარული) კენჭისყრით. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ" დაწვრილებით არის ლაპარაკი არჩევნების წესზე. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას. ეს გადაწყვეტილება უნდა დავიყვანოთ თვითეულ კომუნისტამდე. აქტივმა უნდა უზრუნველჰყოს პარტიული ორგანოების არჩევნების სანიმუშოდ ჩატარება, როგორც ამას მოითხოვს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

— აქტივის კრებაზე ცუდად არ გაშლილა თვითკრიტიკა, — ამთავრებს ამხ. ბერია. — მაგრამ ზოგიერთნი გამოსულნი გვერდს უვლიდნენ მწვავე საკითხებს. მწვავე საკითხებს არ უნდა ავუაროთ გვერდი, — ამბობს ამხ. ბერია, — იმიტომ, რომ ასე თუ ისე მოგვიხდება დავუბრუნდეთ მათ. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ვინაიდან თვითკრიტიკა ბოლშევიკური მოქმედების საფუძველია. რაც უფრო მეტი იქნება საღი თვითკრიტიკა, მით უფრო უკეთ იქნება დაყენებული ჩვენი მუშაობა, მით უფრო მეტად გაგვამაგრებს ეს, ვინაიდან, როგორც ამის შესახებ ამბობდა ამხანაგი **სტალინი**, თვითკრიტიკა გვესაჭიროება არა ხელმძღვანელობის შესასუსტებლად, არამედ მის გასაძლიერებლად, იმისათვის, რომ გადავაქციოთ იგი ქაღალდის საშუალებით წარმოებული, ნაკლებად ავტორიტეტული ხელმძღვანელობიდან ცხოველმყოფელ და ნამდვილად ავტორიტეტულ ხელმძღვანელობად.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების გამო.

* * *

კრებას დაესწრო თბილისის პარტორგანიზაციის 2 ათასი აქტივისტი. კამათში გამოვიდა 34 კაცი.

პარტიის ც. კ-ის მითითებათა უხეში დარღვევა

დონის-როსტოვი, 25 მარტი (საქტესი). მალჩევის რაიონის მილეროვის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტკომის არჩევნებისას დაშვებულ იქნა პარტიის ც. კ-ის მითითებათა უხეში დარღვევა. ფარული კენჭისყრა ხდებოდა არა დახურულ პარტიულ კრებაზე, როგორც ეს უნდა იყოს, არამედ ღია კრებაზე, რომელსაც დაესწრნენ პარტიის კანდიდატებიც. პარტიის სამხარეო კომიტეტმა გააუქმა არჩევნები ამ პარტორგანიზაციაში და წინადადება მისცა ხელახლა მოახდინონ არჩევნები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებებთან სრული შეფარდებით.

შინაპარტიული დემოკრატიის უხეში დარღვევა

გორი, 19 მარტი (საქტესი). 13 მარტს ზუსტად განსაზღვრულ საათზე საკონსერვო ქარხნის კომუნისტები მივიდნენ კრებაზე, რათა განეხილათ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგები. ყველა მოუთმენლად მოელოდა კრების დაწყებას.

კრებაზე გამოცხადებულმა რაიკომის ინსტრუქტორმა ბეღელაძემ, კომუნისტების გასაკვირად, პარტორგანიზაციის კრება გახსნილად გამოაცხადა და კრების თავმჯდომარედ დანიშნა პარტიის წევრი ასანიძე.

შემდეგ მოხდა ასეთი ამბავი. ბეღელაძე ავიდა ტრიბუნაზე და განაცხადა: „ასწიეთ თითი, ვისაც წაკითხული გაქვთ ამხ. ჟდანოვის მოხსენება".

გამოირკვა, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი ყველა კომუნისტს წაუკითხავს, ამხ. ჟდანოვის მოხსენება კი ზოგს არ წაუკითხავს, ვინაიდან გაზეთები, სადაც მოხსენება იყო მოთავსებული, ის იყო მიეღოთ და ყველას ვერ მოესწრო წაკითხვა.

ამასთან დაკავშირებით ბეღელაძემ კატეგორიული ფორმით მოითხოვა კრების გადადება 15 მარტამდე.

— ჩვენ ისეც დაგვაგვიანდა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის რეზოლუციის განხილვა და გვინდა მოხსენება მოვისმინოთ, — ამბობდნენ კომუნისტები.

მაგრამ ბეღელაძემ ამ მოთხოვნას ანგარიში არ გაუწია და განაცხადა: „კრება გადადებულია ჩემი პასუხისმგებლობით".

შინაპარტიული დემოკრატიის მეტად უხეში დარღვევისათვის რაიკომის ინსტრუქტორი ბეღელაძე მოხსნილია სამუშაოდან.

გორის პარტორგანიზაციაში გაცხოველებით მიმდინარეობს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვა.

ხე-ტყის სახერხი ქარხნის კომუნისტებმა ამხ. შერმადინმა, თავაკალოვმა, გოდერძიშვილმა, გუძიტაშვილმა, ხუროშვილმა, ჩიხლაძემ, იორამაშვილმა, ჭუმბურიძემ და სხვებმა პარტიულ კრებაზე ილაპარაკეს პარტიის წესდების მთელ რიგ უხეშ დარღვევათა შესახებ.

1935 წელს რაიკომის ინსტრუქტორმა მოწონელიძემ პარტორგანიზაციას პარტკომის მდივნად თავს მოახვია დავითაია, რომელსაც პარტიის წევრები სრულიად არ იცნობდნენ. ერთი თვის შემდეგ დავითაია მოხსნეს სამუშაოდან გაფლანგვისათვის. დავითაიას კომუნისტებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. როგორც აღმოჩნდა, იგი ამ ორგანიზაციის წევრიც კი არ ყოფილა. კიდევ მეტი, კომუნისტებისათვის დღემდე გამოურკვეველია — იყო თუ არა დავითაია საკ. კ.პ. (ბ) წევრი.

ამის შემდეგ იმავე ინსტრუქტორის მოწონელიძის „რეკომენდაციით" პარტკომის მდივნად „აირჩიეს" სამხარაძე, რომელიც ამხილეს, როგორც თეთრგვარდიელი და გარიცხეს პარტიიდან.

შემდეგ არჩეულ იქნა მესამე მდივანი, ყველა ეს „არჩევნები" მოხდა 4 თვის განმავლობაში.

ძალიან ხშირი იყო პარტკომის წევრთა კოოპტაციის შემთხვევები. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარტკომის 2 წევრმა კოოპტაციის წესით პარტკომში შეიყვანა ორი კაცი: ერთი მათგანი, წყალობა მელაძე, ხალხის მტერი გამოდგა.

კოოპტირებულ იქნა აგრეთვე ქარხნის დირექტორი მურადოვი, რომელსაც პარტორგანიზაციამ შემდგომ საყვედური გამოუცხადა ლოთობისათვის და გაიყვანა პარტკომის შემადგენლობიდან.

არ ხდებოდა პარტკომის დადგენილებათა დამტკიცება პარტორგანიზაციის საერთო კრების მიერ, კომუნისტები არ იცნობდნენ პარტკომის დადგენილებებს.

პარტორგანიზაციის გადაწყვეტილებით საამქროებში მოეწყო 4 წრე საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასწავლად.

ებრაელთა დასახლება კოლხიდაში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხობი, 24 მარტი. გუშინდელი დღე, 23 მარტი, დაუვიწყარი იქნება ბანძის მშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში. დილიდანვე ბანძა აივსო საბარგო და მსუბუქი მანქანებით. 1 ½ კილომეტრზე გაჭიმული ავტოკოლონა მორთულია დროშებით, პლაკატებით, ბელადების სურათებით. 38 საბარგო მანქანა იტვირთება მშრომელი ებრაელების ბარგით. ისინი სამუდამოდ ეთხოვებიან დამპალ, ღარიბულ ქოხმახებს და გადადიან მზიურ კოლხიდაში, სადაც მათთვის გაშენებულია ლამაზი და კოხტა სახლები. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

იწყება მიტინგი, რომელსაც ხსნის გეგეჭკორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ურიდია. სიტყვებით გამოდიან მწერალთა კავშირიდან — ამხ. გერცელ ბააზოვი, საქმემსიდან —ამხ. მ. კაკიტელაშვილი, გადასახლებულთა სახელით 61 წლის მოხუცი—იოხანან ბჯიაშვილი.

ოცდაათი ოჯახი—ასოცდა თვრამეტი სული—უკვე მოთავსდა მანქანებში. მთელი გზა—ბანძა-სეფიეთი-აბაშა - ნოსირი - ცხაკაია - თეკლათი - შუაქვალონი - საქმემსის საალმშენებლო მოედანი — გაისმის დაუსრულებელი სიმღერა და სიხარულის ჟრიამული. გზებზე მისასალმებლად გამოფენილან მახლობელ რაიონებიდან და სოფლებიდან პიონერები, სტუმრები, კოლმეურნენი.

აი გამოჩნდა კოლხიდის დაბლობის ის ნაწილი, სადაც 80 სახლი უკვე მთლიანად აშენებულია, ხოლო 33 ამ დღეებში დამთავრდება. გაისმის ხანგრძლივი ტაში. საქმემსის საალმშენებლო მოედანზე ხელახლა იწყება მი[illegible] ხობის რაიკომის მდივანი ამხ. ათაჯიკია. სიტყვებით გამოდიან საქმემსის თავმჯდომარე და აღმშენებლობის უფროსი ამხ. ელიგულაშვილი, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ბესო ჟღენტი, კოლმეურნე ამხ. სეფიაშვილი, დამპროექტებელი ამხ. ასათიანი და სხვ. მოსულია მისასალმებელი დეპეშები. ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით მიღებულ იქნა წინადადება მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოთ საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს და ამხ. ლავრენტი ბერიას.

კოლმეურნეებს აბარებენ ბინების გასაღებებს. უდიდესი აღტაცებით იწყება შესახლების პროცესი. ყოველი ბინა—ოროთახიანია, სამზარეულოთი, აივნით და ½ ჰექტარი საკარმიდამო მიწით. ახალი კოლმეურნენი კიდევ ბევრ შეღავათს მიიღებენ. მათ თვალები უბრწყინდებათ და მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. იწყებენ თავის კარმიდამოს მოვლასა და დალაგებას.

პირველ პიონერებს მაისამდე კიდევ მოემატება 155 ოჯახი. ამ დროისათვის მზად იქნება 185 სახლი.

კოლმეურნეებთან და მემსის ენტუზიასტ მშენებლებთან ლაპარაკის დროს ხშირად იხსენიება დიდი სიყვარულით ამხ. ლ. ბერიას სახელი, რომელსაც ეკუთვნის ინიციატივა ებრაელების კოლხიდაში დასახლებისა.

ამ პიონერებს და ახალ კოლმეურნეთ კარგად აქვთ შეგნებული, რომ თავისი პატიოსანი შრომით ამიერიდან იწყებენ ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

◆ ◆ ◆

ახტალა

სად არ წავიდა ნიკოლოზ ურაზოვი, რა საშუალებას არ მიმართა, რა არ იღონა, მაგრამ მკვეთრად გამოსახული, მტანჯველი სენი—საჯდომი ნერვის იშიასი—მაინც ვერ მოიშორა. როგორც სჩანდა, სამუდამოდ უნდა შეჰრიგებოდა ამ ბოლო ხანს განუყრელ თანამგზავრად ქცეულ ყავარჯნებს.

ბოლოს, შარშან, ექიმებისა და მახლობელი მეგობრების რჩევით ახტალისაკენ გასწია.

ნიკოლოზი კურორტზე შეხვედრილმა მეგობრებმა აბანოში შეიყვანეს. ცოტა არ იყოს, არ მოეწონა ახტალის რუხი-ნაცრისფერი წუმპე, ეს რაღა აბანოა?—გაიფიქრა, მაგრამ განკურნების იმედმა დასძლია და ისიც ჩაწვა ამ ტალახში.

სულ რაღაც ექვსჯერ იბანავა. პირველად მიღებულმა აბაზანებმა იმდენად გამოაკეთა მისი ჯანმრთელობა, ისეთი მხნეობა და ენერგია შეჰმატა მას, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საჯაროდ დაიძახა: „ამხანაგებო და მეგობრებო, ახლა მე ეს ყავარჯნები არ მჭირდებაო" და ლამაზად გაკეთებულ, მესამე და მეოთხე „ფეხებს" ახტალის ხევისაკენ გადაუძახა. ამის შემდეგ მან კიდევ ათიოდე აბაზანა მიიღო და სრულიად გამოკეთებული, ჯანსაღი და ხალისიანი თავის წარმოებას დაუბრუნდა.

სანამ ახტალა ცნობილი გახდებოდა, იქ ქეციან კამეჩებსა და ღორებს აწვენდნენ. სასწაულებრივ მოქმედებდა ამ ცხოველებზე ახტალის ტალახი. შემდეგ მახლობლად მცხოვრებმა ადამიანებმა სცადეს ამ ტალახით მკურნალობა. საუკეთესო შედეგი მიიღეს.

* * *

ახლა ახტალამ იმდენად გაითქვა სახელი, რომ გასული წლის საკურორტო სეზონში აქ მოვიდნენ ავადმყოფები ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბელორუსიიდან, უზბეკისტანიდან და საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებიდან.

ყველა, ვინც სწორი დიაგნოზით წამოვიდა ამ კურორტზე, კმაყოფილი, განკურნებული დაუბრუნდა თავის ოჯახს, წარმოებას.

დიდის გაფაციცებით, გეგმიანად ამზადებენ კურორტს მომავალი სეზონისათვის. დირექცია ყოველმხრივ ცდილობს კურორტის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული 229 ათასი მანეთი მომჭირნეობითა და ნაყოფიერად გამოიყენოს, მეტი და კარგად გააკეთოს.

სწრაფად სწარმოებს წყალსადენის გაფართოება, იდგმება ახალი ელსადგური, ხდება ცივი აბაზანებისა და ტალახ-სამკურნალოების რეკონსტრუქცია.

მზად არის და მომავალი სეზონიდან (პირველი ივნისიდან) მუშაობას დაიწყებს პოლიკლინიკა, რომლისთვისაც აგებულია სამსართულიანი (45-ოთახიანი) შენობა. კურორტს აქვს რენტგენის აპარატის მთლიანი მოწყობილობა, მაგრამ მის დადგმას თანხა სჭირდება და ეს მთავარ საკურორტო სამმართველოს კურორტის კეთილმოწყობის ხარჯთაღრიცხვაში რატომღაც არ გაუთვალისწინებია.

კურორტის ხელმძღვანელნი არაფერს იშურებენ, რომ მოაგარაკეებს შეუქმნან ჯანსაღი დასვენების საუკეთესო პირობები. კურორტის ტერიტორიაზე მოწყობილი 11 ორანჟერეა, ერთი მოზრდილი სათბური და სანერგეები გავსებულია თბილი ქვეყნების მცენარეებით, ეგზოტიკური, სურნელოვანი ყვავილებით.

ადამიანის თვალს ახარებენ და ყნოსვას ატკბობენ პალმები, დრაცენები — ფერადოვანი, ცოცხალი ხალიჩა. კურორტს დაამშვენებენ მაგნოლიები, ქრიზანტემები, კვიპაროსები, მუშმულა, იაპონური ფშატი, ჭანდრები. ახტალაში თურმე ფიჭვიც ხარობს. ეს მცენარე 500 ძირამდე უკვე დარგეს და ჯერჯერობით საუცხოოდ გამოიყურება.

ახტალას მომავალი სეზონისათვის ულამაზესი პარკი ექნება. ესტრადას ყვავილნარი დაამშვენებს. სასულე ორკესტრი მთელი სეზონის განმავლობაში დაუკრავს.

საამური და სასიამოვნო იქნება ახტალაში დასვენება და მკურნალობა. ზაფხულში კახეთის პაპანაქებას აქ ზღუდრის ფერდობებიდან მონაბერი ცივ - გომბორის მთის გრილი ნიავი და დიდის გემოვნებით მოკაზმული ყვავილნარი შეანელებს. ჩრდილოეთით, ალაზნის ველის გადაღმა, კურორტს ხელისგულივით დაჰყურებს მუდამ თოვლიანი კავკასიონი.

ეს გარემოება ზღვის დონიდან 412 მეტრის სიმაღლეზე მდებარე კურორტ ახტალის ჰავას ზომიერ—კონტინენტურად აქცევს, წლიური საშუალო ტემპერატურაც 12 გრადუსს არ აღემატება.

ახტალას ზაფხულობით აუარებელი მოაგარაკე აწყდება, მაგრამ კურორტის საბინაო ფონდი იმდენად ღარიბია, რომ მოთხოვნილების ნახევარსაც ვერ აკმაყოფილებს. კურორტს საკუთარი სასადილო არა აქვს. ხოლო კოოპერაციის სასადილო მოაგარაკეებს რიგიანად ვერ ჰკვებავს. ეს მათში უკმაყოფილებას იწვევს.

ცხელ აბანოებში ტალახი პრიმიტიული ღარებით გადააქვთ. ეს დიდ ხარჯსა და დროის უნაყოფოდ დაკარგვას იწვევს. ორ წელზე მეტია, რაც ახტალაში მექანიზებული ტალახ-საქაჩავი მოიტანეს. ეს მეტად სასარგებლო აპარატი თანხის უქონლობის გამო დღემდე უმოქმედოდ ძევს. კურორტის ზონა ჯერ კიდევ არ არის შემოსაზღვრული. ქალაქი გურჯაანი და კურორტის მახლობლად მდებარე სოფლები სწრაფად იზრდებიან. ეს ახტალის შევიწროებას იწვევს. ხოლო მომავალში თვით კურორტიც უნდა გაიზარდოს. საკურორტო სამმართველომ, აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებასთან ერთად საკურორტო ზონაც უნდა დააწესოს.

შ. ჯიქია.

მისაბაძი მაგალითი

ყვარლის რაიონის ხელმძღვანელებმა საგზაო მშენებლობას სერიოზული ყურადღება მიაქციეს,—1937 წელს გეგმა პირველი მარტისათვის 44 პროცენტით შეასრულეს.

პირველი მარტისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებამდე მოზიდულია 6250 კუბ. მეტრი ხრეში და 1611 კუბ. მეტრი ქვა, ხოლო რესპუბლიკურ გზებამდე მოზიდულია 4530 კუბ. მეტრი ხრეში და 345 კუბ. მეტრი ქვა.

გაფართოვდა რესპუბლიკური გზა სოფელ ენისელსა და შაქრიანის შორის 0,8 კილომეტრის მანძილზე, კეთდება ახალი გზა ზინობიან-ჭიკაან - გავაზს შორის მუკუზნის სადგურის მიმართულებით 10 კილომეტრის მანძილზე. ამ გზის მშენებლობა ამ დღეებში დამთავრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო მშენებლობის საქმეში ენერგიულად მუშაობენ ყვარლის საბჭო (თავმჯდომარე ამხ. კახნიაშვილი), რომელმაც პირველი მარტისათვის წლიური გეგმა შეასრულა 51 პროცენტით, ენისლის საბჭო (თავმჯდომარე ამხ. დესპოტაშვილი) — 65 პროცენტით, და სანავარდოს საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ადამ სეფაშვილი).

გზის მშენებლობაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ გავაზის საბჭო (თავმჯდომარე ხიდეშელი), რომელმაც წლიური გეგმა მხოლოდ 9 პროცენტით შეასრულა, და ჭიკაანის საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ქემოკლიძე) — 11-ით.

რაიონმა საგზაო მშენებლობაში მიღწეული წარმატებები უნდა შეინარჩუნოს, ხოლო ჩამორჩენილი სოფლები უნდა დაწინაურდნენ და შესძლონ საგზაო მშენებლობის წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულება.

შ. გაფრინდაშვილი.

დ. დემეტრაძე

მწერალთა კავშირის მდივანი

თვითკრიტიკის გზით

ს. ს. რ. კ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პუშკინის საიუბილეო პლენუმი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში. პლენუმის მუშაობის ცენტრში იდგა პუშკინის შემოქმედების გაშუქება. ამ უდიდესი მემკვიდრეობის ათვისების პრობლემა.

ბუნებრივია, რომ პუშკინის შემოქმედების ანალიზი დაკავშირებული იქნა თანამედროვე პრობლემებთან, იმ აქტუალურ საკითხებთან, რომლებიც დღეს დასმულია ჩვენი მწერლობის წინაშე — მაღალი იდეურობის, ხალხურობის, სისადავის საკითხები და სხ.

ვრცელი მოხსენება წარუდგინა პლენუმს ამხ. სტავსკიმ. მოხსენება შეეხებოდა ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის სამზადისს. მან მოგვცა საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვა უკანასკნელ წლებში, მან დაასახელა მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ლიტერატურის წინსვლას, მხატვრული სიტყვის, ოსტატები მხატვრული საშუალებებით გამოხატავენ ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებს. ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამ უკანასკნელ პერიოდში პავლენკოს ახალი რომანია „ნა ვოსტოკე", აგრეთვე ფადეევის „უკანასკნელი უდეგელი" და სხვა. ამხ. სტავსკიმ ნათელჰყო, რომ არ შეიძლება საერთო ლაპარაკი ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილობაზე, მისი აზრით, საჭიროა მეტი გარკვეულობის შეტანა ამ ცნებაში. ლიტერატურის ჩამორჩენის ზოგადი ცნება არაფერს არ გვეუბნება, საჭიროა გარკვევით ითქვას: ვინ, რომელი მწერალი ჩამორჩება და რაში.

ამხ. სტავსკის მოხსენების ერთერთი დებულება ის იყო, რომ ლიტერატურაც უსათუოდ წარმოადგენს მძაფრი კლასობრივი ბრძოლის სფეროს; ჩვენი ხალხის მტრები, კონტრრევოლუციური ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენე გარეწრები, ეფარებოდნენ საბჭოთა მწერლის სახელსაც, თავიანთ ბნელ საქმეს აკეთებდნენ. ამხ. სტავსკიმ არა ერთი და ორი ფაქტი დაასახელა ამ დებულების საილუსტრაციოდ. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობას კლასობრივი მტრული იდეების გაპარების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ ჩვენს ლიტერატურაში, იმის აუცილებლობას, რომ თავის დროზე ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი და გავანადგუროთ მტერი, რომელიც ზოგჯერ საბჭოთა მწერლის საპატიო სახელს ეფარება.

პლენუმზე უაღრესი გარკვეულობით გამოტანილ იქნა ჩვენი ლიტერატურის მთელი რიგი ძირითადი საკითხები, განსაკუთრებით პოეზიის დარგში. ცნობილია, თუ რა წინააღმდეგობა გამოიწვია ჩვენი პოეტური ფრონტის დიდ ნაწილში ბუხარინის და რადეკის მოხსენებებმა მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. ხალხის ამ მტრებმა განიზრახეს აეცდინათ საბჭოთა პოეზია სწორ გზას, შეეცადეს უარეყოთ ჩვენი საბჭოთა პოეზიის გზები, პროლეტარული პოეზია და როგორც დროშა წამოეყენებიათ ისეთი მწერლები, რომლებიც შორს დგანან ჩვენს სინამდვილესაგან. ბუხარინი ამტკიცებდა, მაიაკოვსკის „აგიტკების" დრო წავიდა და მტრად უნდა გამოვაცხადოთ საბჭოთა პოეზიის პოზიციებს დაშორებული ისეთი ბუნდოვანი პოეტი, როგორიც არის პასტერნაკი. ბუხარინს უნდოდა განეიარაღებია ჩვენი საბჭოთა პოეზია, დაეშორებია იგი ჩვენს ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანებს და ამით პარტიისათვის ხელიდან გამოეცალა ისეთი ძლიერი იარაღი, როგორიც არის ლიტერატურა, კერძოდ პოეზია.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ მოვლენებს, გასაგები გახდება, რომ შემთხვევითი არ იყო ის, რომ ბუხარინმა დროშად წამოაყენა პასტერნაკი, რომ მან უარჰყო საბჭოთა პოლიტიკური პოეზია, უარჰყო მაიაკოვსკი და ამით თავისი კონცეპცია დაუპირდაპირა მთელს ყრილობას, რომელიც მაიაკოვსკის სახელის ყოველ ხსენებას ენტუზიაზმით და აღტაცებით ხვდებოდა. მაიაკოვსკიმ ყველაზე უფრო მღელვარედ, ყველაზე მკვეთრ პოეტურ ფორმებში გამოხატა საბჭოთა ეპოქის იდეები. საბჭოთა პოეზიისათვის ყოველთვის მისაბაძი იქნება მაიაკოვსკის მღელვარე, ვნებიანი დამოკიდებულება თემისადმი, მისი უსაზღვრო სიყვარული ჩვენი სამშობლოსადმი, კომუნისტურ პარტიისადმი. იგი მაღალმხატვრულ ფორმებში ეხმაურებოდა სოციალისტურ მშენებლობის აქტუალურ საკითხებს. ამიტომ უყვარს იგი ჩვენს ხალხს, როგორც დიდი ოქტომბრის უნიჭიერესი პოეტი. ამიტომ იყო იგი ასე მიუღებელი კონტრრევოლუციონერ ბუხარინისათვის.

ბუხარინი მარტო არ ყოფილა. პლენუმზე გარკვევით აღინიშნა, რომ მთელი რიგი კრიტიკოსები (მუსტანგოვა, ტარასენკოვი, მირსკი და სხვები) აგრძელებდნენ ბუხარინის კონტრრევოლუციურ ხაზს პოეზიაში. მავნე პოზიციებიდან აშუქებდნენ თანამედროვე საბჭოთა პოეზიის პრობლემებს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის პოზიცია, რომელიც ბუხარინის მოხსენებისადმი ყრილობაზე დაიჭირა საქ. მწერალთა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ, უკვე გამომჟღავნებულმა კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტმა ტოროშელიძემ, რომელმაც აიძულა დელეგაციის ერთერთი წევრი ეთქვა, თითქოს ქართული დელეგაცია ეთანხმებოდა ბუხარინის მოხსენების დედაზრს, თუმცა ეს განცხადება შეთანხმებული არ ყოფილა დელეგაციასთან.

მაგრამ არა მარტო ამ მხრივ არის საგულისხმო პუშკინის პლენუმის შედეგები. ჩვენი პოეტები, მწერალთა მთელი აქტივი, ღრმად უნდა ჩაუკვირდნენ იმ დებულებებს, იმ გეზს, რომელიც გამოიმუშავა პუშკინის პლენუმმა. პასტერნაკის შემოქმედებითი გზის ანალოგიურ პროცესების გამოძახილს ჩვენ ვხვდებით საქართველოს ლიტერატურულ სინამდვილეშიც. ეს უმთავრესად შეეხება „ცისფერ ყანწელთა" ყოფილ ჯგუფიდან ზოგიერთი პოეტის შემოქმედებითს პრაქტიკას უკანასკნელ წლებამდე.

შემთხვევით მოვლენად ვერ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ კრიტიკოსი მირსკი მთელ რიგ სტატიებში წინა რიგებში აყენებდა პოეტების გარკვეული ჯგუფის ორ ან სამ ფიგურას, სახელდობრ პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს და სხვებს. და ამას იგი სჩადიოდა მას შემდეგ, რაც ქართულმა საბჭოთა კრიტიკამ საკმაოდ მძაფრი ბრძოლა ჩაატარა იმ ტენდენციების, იმ უიდეო ლირიკის წინააღმდეგ ზემოხსენებულ პოეტების შემოქმედებაში, რომელსაც იწონებდა მირსკი.

ჩვენი მუშაობის ნაკლია ის, რომ ვერ მოვაწყვეთ თარგმნის საქმე ისე, რომ არა ქართველი მკითხველის წინაშე უფრო მეტად და სრულყოფილად წარდგენილი ყოფილიყვნენ ის პოეტები, რომლებიც აღიზარდნენ და მომწიფდნენ საბჭოთა ეპოქაში. ჩვენ ეს ხარვეზი უნდა შევავსოთ თარგმნის საქმის მოწესრიგებით, შემოქმედებითი საღამოების მოწყობით, არა ქართველ ფართო მკითხველთა საზოგადოებას უნდა გავაცნოთ ყველა პოეტი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს თავისი მაღალი იდეურობით და ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებით.

ჩვენი ამოცანაა დაუყოვნებლივ გარდავქმნათ მწერალთა კავშირის მთელი მუშაობა. ჩვენ ძალიან ბევრი ნაკლი გვაქვს და ერთერთი ნაკლი კი ის არის, რომ ხშირად არ გვიყვარს სიმართლის პირდაპირ თქმა, მწერლებისათვის მათი შემოქმედების შესახებ, თუმცა ამის შესახებ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ. ხშირია შემთხვევა, როცა იმ ნაწარმოებს, რომელიც არ არის დაბეჭდვის ღირსი ან რადიკალურ გადაკეთებას მოითხოვს, ჩვენ ვიწონებთ, ვამბობთ მასზე, ნაკლი აქვს, მაგრამ მისი ღირსებაც მნიშვნელოვანიაო. თუ ჩვენ ფართოდ არ გავშალეთ თვითკრიტიკა განურჩევლად პირონებისა, საბჭოთა დემოკრატიზმის საფუძველზე არ გარდავქმნით მთელი მუშაობა, თუ მწერალთა საზოგადოებრიობის ყოველდღიური კონტროლის ქვეშ არ დავაყენეთ მთელი ჩვენი და მწერალთა ყველა ორგანოების საქმიანობა, მუშაობა ვერ გარდაიქმნება. მძაფრი, დაუნდობელი თვითკრიტიკა, საბჭოთა დემოკრატიზმის სრული გაშლა — ეს არის ჩვენი მთავარი გადაუდებელი ამოცანა.

როდესაც მწერალთა კავშირის მუშაობის გარდაქმნაზე ვლაპარაკობთ, ეს შეეხება ჩვენი სექციების გააქტივებასაც. არც ერთი ჩვენი სექციის, არც პროზაიკოსების, არც პოეტების, არც თავდაცვითი ლიტერატურის, მით უმეტეს კრიტიკოსთა სექციის მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. სექციები უნდა გადაიქცნენ ლაბორატორიებად, სადაც გაიშლება ნამდვილი შემოქმედებითი თანამშრომლობა, სადაც ყოველი მწერალი მოისმენს მართალ სიტყვას თავის ნაწარმოების შესახებ.

საფუძვლიან გარდაქმნას საჭიროებს ჩვენი ლიტერატურული პრესა, ჩვენი ჟურნალების რედაქციები. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რედაქციების უორგანიზაციო, სუსტი მუშაობის შედეგია ის, რომ ხშირად იბეჭდება ძალიან დაბალი ხარისხის მოთხრობები და ლექსები. დისკუსიას ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ, ლიტერატურული ენის სიწმინდის შესახებ ის სასარგებლო ნაყოფი მოჰყვა, რომ ერთხანს შესამჩნევად იკლო ცუდი ხარისხის პროდუქციამ ჩვენს ჟურნალებში. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს ტალღა ისევ აპირებს აგორებას და შეიქნა ისეთი მდგომარეობა, ისეთი განწყობილება თითქოს მოსათმენი იყოს ნახევარფაბრიკატის, ნედლი მასალის გამოქვეყნება. მაღალი მხატვრული ხარისხისათვის ბრძოლა რასაკვირველია, მთავარი ამოცანაა ჩვენი ჟურნალებისათვის. ჩვენმა ჟურნალებმა ხელი უნდა აიღონ თვითდინარებაზე და თავიანთი მუშაობა უნდა ჩააყენონ ორგანიზაციულ გეგმიან კალაპოტში. რედაქციებმა თავის გარშემო უნდა შემოიკრიბონ თანამშრომელთა მუდმივი კადრი, რომელიც იმუშავებს მათი დავალებით, მათი შეკვეთით. დასაბეჭდად წარდგენილ ნაწარმოებთა განხილვასა და შეფასებაში მათ უნდა ჩააბან მწერალთა მთელი კოლექტივი.

ჩვენი რედაქციების საოქტომბრო მზადების გეგმაში უნდა შედიოდეს ამ მასალის განხილვა და შეფასება, რომელიც გასულ წელს მათ ფურცლებზე დაიბეჭდა. ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენენ ეს რომანები, ლექსები, რომელი მათგანი არას ღირსი გამოაცეს და მკითხველთა მასებს მიეწოდოს ოქტომბრის დიდი თარიღისათვის. შემდეგ ჩვენმა ჟურნალებმა მთელს ლიტერატურულ ორგანიზაციასთან ერთად უნდა იბრძოლოს, რომ უნაყოფოდ არ ჩაიაროს იმ დისკუსიებმა, რომლებიც მწერალთა შემოქმედების შესახებ იმართება, მაგალითად, გასულ წელს ჩვენ მოვაწყვეთ დისკუსია კ. გამსახურდიას საყურადღებო რომანის „მთვარის მოტაცების" გარშემო, გამომჟღავნებულ იქნა ამ ნაწარმოებას დადებით მომენტებთან ერთად, მთელი რიგი იდეური ჩავარდნები. ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ, რა ცვლილებებს განიცდის მწერალი იმ მითითებათა შემდეგ, რომლებიც მას მისცეს. უნდა ვიცოდეთ, სძლევს იგი თუ არა ამ შემცდარ შეხედულებებს, თავის შემდგომ ნაწარმოებში იზრდება თუ არა მწერალი იდეურად.

მწერლის ბედით ასეთი დაინტერესება მართებს ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას არა მარტო კ. გამსახურდიას მიმართ, არამედ ბევრი სხვა მწერლისა და პოეტის მიმართაც. ავიღოთ მაგალითად კ. კალაძე, მისი რამდენიმე ლექსი, რომელიც მან ამ უკანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა, საფუძველს გვაძლევს ვუთხრათ კ. კალაძეს, რომ საჭიროა დიდი და სერიოზული მუშაობა იმ ბუნდოვანების, ამ გაურკვევლობის გასაფანტავად, რომელიც მის პოეზიას ახასიათებს. ასევე გაშლილ კრიტიკას და შეფასებას მოითხოვს მიხ. ჯავახიშვილის უკანასკნელი ნაწარმოები „ქალის ტვირთი".

მწერალთა საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებენ ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურული კადრები, რომელთა შორის ბევრია ნიჭიერი, საიმედო ძალა, მაგრამ იმის გამო, რომ სუსტია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგიერთი მათგანის ნაწარმოები დაშორებულია ჩვენს სინამდვილეს და იდეურად უსუსურია. ძალზე შეზღუდულია და შემოფარგლული აგრეთვე მათი თემატიკა, ჟურნალი „ჩვენი თაობის" რედაქცია უნდა გადაიქცეს იმ ლაბორატორიად, სადაც აღიზრდებიან, ბოლშევიკურად გამოიწრთობიან ჩვენი ახალგაზრდა კადრები. ეს ჟურნალი არა მარტო უნდა ბეჭდავდეს ახალგაზრდებს, არამედ უწევდეს მათ საფუძვლიან დახმარებას შემოქმედებითი კონსულტაციის კარგი ორგანიზაციით.

აი ის ამოცანები, რომლებიც ისახება ჩვენს წინაშე პუშკინის პლენუმის შედეგებთან დაკავშირებით.

◆

თბილისის აეროკლუბის აეროდრომზე დაიწყო ინსტრუქტორთა ფრენა და თვითმფრინავთა შემოწმება სასწავლო ფრენის წინ. **სურათზე:** აეროკლუბის მფრინავი-ინსტრუქტორი მ. სირტლანოვა ამოწმებს მოტორს გაფრენის წინ.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მიმდინარე წელს მშენებლობაზე დაბანდებს 30.000.000 მანეთს.

ამ თანხით იწარმოებს შემდეგი სამუშაოები:

50 საწოლით გაფართოვდება ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი, რომელზედაც დაიხარჯება 600.000 მანეთი, თბილისის წითელი ჯვრის საავადმყოფოსთან მოეწყობა ახალი 35-საწოლიანი განყოფილება სპეციალურად კიბოთი დაავადებულთათვის. ამ მიზნით გადადებულია 200.000 მანეთი. 100 საწოლის დამატებით გაფართოვდება თბილისის დედათა და ბავშვთა ინსტიტუტი, რისთვისაც გათვალისწინებულია 294.000 მანეთი. ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობის გასაფართოვებლად დაიხარჯება 297.000 მანეთი. თბილისის ტუბერკულოზის პირველი ინსტიტუტი გადაკეთდება მთლიან დისპანსერად და სამშობიარო სახლად, რისთვისაც გადადებულია 857.000 მანეთი. ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან წელს აშენდება განმანაწილებელი პუნქტი 110 საწოლით, მშენებლობაზე დაიხარჯება 637.000 მანეთი. 20 საწოლი დაემატება თბილისის მეორე საავადმყოფოს, რომელზედაც დაიხარჯება 85.000 მან. თბილისის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი გადაკეთდება საბავშვო ინფექციურ საავადმყოფოდ, ამისათვის დაიხარჯება 900.000 მანეთი. სამედიცინო ქალაქის მშენებლობაზე წელს დაბანდდება 1.678.500 მანეთი. თბილისში ექიმთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გადადებულია 250.000 მანეთი. ბათუმის სამედიცინო საწყობის მშენებლობის დასამთავრებლად გათვალისწინებულია 100.000 მანეთი. თბილისის აფთიაქების თანამშრომელთათვის შენდება საცხოვრებელი სახლი, რომელზედაც წელს უნდა დაიხარჯოს 80.000 მანეთი, ხოლო ტყიბულში მედიცინის მუშაკთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე 200.000 მანეთი.

წელს იწარმოებს კოფეინის ქარხნების მშენებლობა თბილისსა და ბათუმში. ამ მიზნით გადადებულია 380.000 მანეთი. აშენდება აგრეთვე რძეულის სამზარეულოები თბილისში, თელავში, მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში, ქუთაისში და სტალინირში. ყველა ამ სამუშაოზე დაიხარჯება 360.000 მანეთი.

გარდა ამისა, რესპუბლიკის ფარგლებში წელს აშენდება 40-მდე სამშობიარო სახლი 430 საწოლით, ამ მიზნით გადადებულია 4.135.000 მანეთი, ხოლო საბავშვო ბაგების მშენებლობაზე (4.862 საწოლით) დაიხარჯება 11.873.000 მანეთი.

წელს იწარმოებს აგრეთვე რაიონული საავადმყოფოების მშენებლობა ხაშურში, ადიგენში, ქ. მახარაძესა და წალენჯიხაში, რომელთა მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 1.432.000 მანეთი.

იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისათვის

50 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ქართველი პოეტი იოსებ დავითაშვილი, პროფესიით ხელოსანი-დურგალი.

ი. დავითაშვილი დაიბადა ყოფ. გორის მაზრის სოფელ რუისში. მან პატარაობიდანვე გამოიჩინა დიდი პოეტური ნიჭი.

ი. დავითაშვილის ლექსების ბეჭდვა დაიწყო 1878 წელს ჟურნალ „ივერიაში“, გაზეთ „დროებაში“ და სხვ.

მისი ლექსების თემატიკა სხვადასხვანაირია. განსაკუთრებით საინტერესოა ლექსები, რომლებიც მან მიუძღვნა ორნამენტებისა და სადურგლო საქმის ოსტატების ცხოვრებასა და მუშაობას.

პოეტის სიცოცხლეში გამოვიდა მისი ლექსების კრებული: ამ ლექსებიდან განსაკუთრებით პოპულარულია „ჯეჯილი“.

1886 წლიდან ი. დავითაშვილი მეთაურობს დურგალთა არტელს თელავში. სწორედ აქ 1887 წლის 13 მარტს იგი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ ძალიან პოპულარული გახდა მისი სახელი და ნაწარმოებნი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა გამოსვლის გამო მის შესახებ.

ი. დავითაშვილის ლექსები შეტანილი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებსა და ქრესტომატიებში.

1933 წელს სახელგამმა გამოსცა მის თხზულებათა სრული კრებული (საქდესი).

◇

ერთი საუკეთესოთაგანი საბჭოთა კავშირში

სასტუმრო „თბილისი“ ერთი საუკეთესოთაგანი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირში ცნობილ საუკეთესოდ მოწყობილ სასტუმროებს — „ასტორიასა“ (ლენინგრადი) და „მოსკვას“ (მოსკოვი) გვერდში ამოუდგება მესამე თანამოძმე, რომელიც მათზე არანაკლები კომფორტაბელობითა და მხატვრული გემოვნებით იქნება გაფორმებული.

სასტუმრო „თბილისში“ 118 ნომერია. მათ შორის ათი ნომერი „ლიუქსი“ და ამდენივე „დემი-ლიუქსი“. „ლიუქსის“ ნომრები შესდგება ძვირფასი ავეჯეულობით, ხალიჩებითა და მხატვრობით მორთული ორი ოთახისაგან. ამ ნომრებში დადგმული იქნება როიალები, კედლები გაფორმებული მოდერნის სტილზე, ნომრებს ექნება დამოუკიდებელი სასამსახურო ადგილები (საბაზანო, საპირფარეშო და სხვ.) „დემი-ლიუქსის“ ნომრებიც ახალ ყაიდაზე იქნება მორთული.

სასტუმროს თვითეულ ოთახში დაიდგმება ტელეფონი და სასიგნალო აპარატურა. მთელ სასტუმროს მომსახურებას გაუწევს 7 ლიფტი და 350 კაცი მომსახურე პერსონალი. სასტუმროს ქვემო სართულში იქნება დიდი სვეტებიანი დარბაზი, სადაც გაიხსნება პირველხარისხოვანი რესტორანი. რესტორანთან აწყობენ მექანიზებულ სამზარეულოს. პირველ სართულშივე ქუჩის მხრისაკენ გაიხსნება ახალი კაფე, ხოლო კუთხეში (სადაც უწინ „ტექნიკა და შრომას“ წიგნის მაღაზია იყო) გაიხსნება ჩაის გასასყიდი მაღაზია (რიცხვით მესამე მთელ საბჭოთა კავშირში). პირველ სართულში აწყობენ სპეციალურ საბანკეტო დარბაზს, გვერდით საბილიარდოს და სალუდო ბარს.

შენობის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე მხოლოდ ნომრები იქნება. შესავალში მოეწყობა ცნობათა გამცემი ბიურო, სადაც ჩამოსულნი მიიღებენ მათთვის საჭირო ყველა ცნობასა და რჩევა-დარიგებას თბილისში მოსაგვარებელი საქმეების შესახებ. იქვე გაიხსნება სატრანსპორტო მომსახურების ბიურო. სასტუმროში გაჩერებული მგზავრის მოთხოვნისთანავე მას ჩააბარებენ სამგზავრო ბილეთს, მატარებლით, თვითმფრინავით ან ავტომობილით მგზავრობისათვის.

სასტუმროს შენობის სახურავზე ეწყობა დიდი საზაფხულო რესტორანი ესტრადითა და ბუფეტით. სახურავის რესტორანში მგზავრების ასაყვანად გამუდმებით იმუშავებს ორი ლიფტი.

სასტუმროს ექნება აგრეთვე საკუთარი რადიოგადამცემი კვანძი. აქედან გადასცემენ მუსიკალურ ნაწარმოებებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ევროპის რადიოსადგურთა გადაცემებს.

სასტუმროსათვის ფაბრიკებს შეკვეთილი აქვთ სტილიზებული სერვიზი, თეთრეული და სასუფრე ჭურჭლეულობა. მზადდება აგრეთვე ახალი სტილის ძვირფასი ავეჯეულობა.

სასტუმროს შენობის რეკონსტრუქცია ხდება ამავე შენობის მშენებლის არქიტექტორ ტერ-მიქელოვის პროექტით. ავტორი პირადად ხელმძღვანელობს დაწყებულ მუშაობას და შენობის შიგნითა გაფორმებას.

სასტუმროს მოწყობა დამთავრდება ივნისში, ხოლო ივლისისათვის განზრახულია მისი გახსნა.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით, ქუთაისში ხდება იმ სახლის რესტავრაცია, რომელშიაც ცხოვრობდა დიდი რევოლუციონერი ალექსანდრე (საშა) წულუკიძე. **სურათზე:** სარესტავრაციო სახლი ქუთაისში.
ფოტო იამასი

„რომეო და ჯულიეტა“ სოხუმის ქართულ თეატრში. დადგმა ვ. გარიკისა, მხატვარი დ. მირიანაშვილი. **სურათზე:** უკანასკნელი აქტი.

სოხუმის ქართული თეატრი

სოხუმის ქართული თეატრის სეზონი წელს დიდი წარმატებით მიდის. დასმა შვიდი თვის განმავლობაში დადგა შვიდი პრემიერა. ყოველი სპექტაკლი დიდძალ მაყურებელს იზიდავს.

დღემდე დაიდგა შემდეგი პიესები: „არსენა მარაბდელი“ მიხ. ჯავახიშვილის რომანის მიხედვით, ს. მთვარაძის „სურამის ციხე“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ფრ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყარო“ (ეს სპექტაკლი მიეძღვნა ესპანეთის გმირ ხალხს), შვარკინის „სხვისი ბავშვი“ და კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“.

ამჟამად თეატრი ამზადებს ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“. განზრახულია სეზონის დამლევამდე დადგას გ. მდივნის „ალკაზარი“. თეატრის კოლექტივი ერთსულოვნად მუშაობს. მას აქვს ყოველგვარი საშუალება, რომ ჩვენი მოწინავე თეატრების რიგში ჩადგეს. თეატრს ხელმძღვანელობს რეჟისორი ვახტანგ გარიკი.

შექსპირის ტრაგედიის „რომეო და ჯულიეტას“ დიდი გამარჯვების შემდეგ თეატრმა მომავალი სეზონების რეპერტუარში შეიტანა „ჰამლეტი“ და „კორიოლანოსი“. თეატრი ამჟამად აგროვებს მასალებს, რომ დიდი დრამატურგის ნაწარმოებნი ღირსეულად აითვისოს.

თეატრს ძალიან ცოტა აქვს ორიგინალური რეპერტუარი. მას არ მოეპოვება პიესა თანამედროვე თემატიკაზე და აქ უსათუოდ ქართველ დრამატურგებს მართებთ — დაეხმარონ თეატრს.

ი. ა.

◇ ◇ ◇

ნაციონალური კინო-ხელოვნების საკავშირო დეკადა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს გადაწყვეტილებით, 10 აპრილს მოსკოვში დაიწყება ნაციონალური კინო-ხელოვნების საკავშირო დეკადა, დეკადის დროს მოსკოვში უჩვენებენ საქართველოს სახკინმრეწვის საუკეთესო ფილმებს. მოსკოვს უკვე გაეგზავნა შემდეგი ფილმები: „დარიკო“—რეჟისორ დოლიძისა, „უკანასკნელი მასკარადი“—მ. ჭიაურელისა, „ნარინჯის ველი“—შენგელაიასი, „ბედნიერი ცხოვრება“—მიტროფანოვისა და „ფრთოსანი მღებარი“—ესაკიასი. გარდა ამისა, მოსკოვს გაიგზავნა რეჟისორ მ. ჭიაურელის ახალი ფილმი „არსენა“.

დეკადის დროს მოსკოვში მოეწყობა კინო-გამოფენა. საქართველოს სახკინმრეწვი გამოფენისათვის ამზადებს მთელ რიგ ექსპონატებს — ესკიზებს, დეკორაციებს, კოსტუმებს, აგრეთვე დიდძალ დიაგრამებს, რომლებიც ასურათებენ საქართველოს კინო-ქსელის ზრდას, კინო-თეატრების გახმოვანებას, ნაციონალური კადრების მომზადებას საბჭოთა საქართველოს კინომრეწველობისათვის და სხვ. (საქდესი).

◇

შემთხვევები

# ბოროტმოქმედების ადგილას. საქ. მილიციის სისხლის სამართლის განყოფილების თანამშრომლებმა საქვაჭრობის მაღაზიაში კომინტერნის ქუჩაზე ბოროტმოქმედების ადგილას შეიპყრეს ჯიბგირი პ. პ. პეტროსიანი, რომელიც ერთერთ მოქალაქეს ჯიბიდან ფულის ამოცლას უპირებდა. გამოირკვა, რომ პეტროსიანს სარქისოვის გვარით ჯიბგირობის ბევრი რეგისტრაცია აქვს. ქურდი დააპატიმრეს და სამართალში აძლევენ.

# გაუფრთხილებელი სვლა. 24 მარტს დღისით მსუბუქი ავტომანქანა № 12—39, რომელსაც მართავდა შოფერი მ. მ. მაისურაძე, საქ. სამხედრო გზაზე დაეჯახა მოქ. პ. ღ. მატეცკის (პანასევიჩის ქ. 42). მატეცკი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა. მაისურაძეს პასუხისგებაში აძლევენ.

კონსტიტუციის სწავლება თბილისის სკოლებში

თბილისის სკოლების კონსტიტუციის მასწავლებელთა თათბირმა ნათელჰყო, რომ ამ საგნის სწავლება ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ბევრ სკოლას არა აქვს პროგრამები, დიდაქტიური მასალა. ზოგიერთ სკოლაში კონსტიტუციას ასწავლიან მშრალად და უშინაარსოდ, საკმაოდ არ იყენებენ მხატვრულ ლიტერატურას, სისტემატიურად არ იმართება სემინარები და სხვ.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად თბილისის განათლების განყოფილებამ მე-15, მე-14, მე-26, მე-36 და მე-86 სკოლებთან მოაწყო კონსტიტუციის კაბინეტები. ამ კაბინეტებში დაგროვდება კონსტიტუციის შესასწავლად საჭირო ყველა მასალა: ლიტერატურა, დიაგრამები, სქემები, ფოტო-სურათები.

კონსტიტუციის მასწავლებელთათვის გაკვეთილების სახით დამუშავდება თემები. კონსტიტუცია დანაწილებულია 14 თემად. ყველა თემა დაყოფილია 19 სანიმუშო გაკვეთილად.

განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან მოეწყო სტალინური კონსტიტუციის კაბინეტი, გამოყოფილია ამ დარგში სპეციალური მომუშავე. დაწესებულია სემინარის სამეცადინო დღეები—ყოველი თვის 14 და 27 რიცხვები. სემინარებისათვის მოწვეული არიან კვალიფიციური კონსულტანტები.

◇

შესწორება

„კომუნისტის“ 26 მარტის ნომერში მოთავსებულ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრების რეზოლუციის სათაური უნდა იკითხებოდეს ასე: „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებზე“.

ამავე რეზოლუციის პირველი სვეტის მეხუთე აბზაცის შუა ნაწილში ნათქვამია: ...„გამოიყენეს ფაშიზმის აგენტებმა, კონტრრევოლუციურმა ტროცკისტ - უკლონისტებმა და მოახერხეს შეპარულიყვნენ“... და ა. შ.

უნდა იყოს: „გამოიყენეს ფაშიზმის აგენტებმა, კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტებმა და მოახერხეს შეპარულიყვნენ“ და ა. შ.

ესტრადის საზაფხულო სეზონი

შუა მაისში გაიხსნება საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანების საზაფხულო სეზონი. სეზონი დაიწყება ლეონიდ უტიოსოვის ჯაზის გამოსვლებით. უტიოსოვის შემდეგ თბილისში ჩამოვა ბოშათა მოსკოვის სახელმწიფო თეატრი „რომენი“ ცნობილი ბოშა მსახიობი-ქალის „ლ. ჩორნაიას“ მონაწილეობით. საგასტროლო რეპერტუარში შედის თეატრის საუკეთესო დადგმები: „ცხოვრება ბორბლებზე“, „კარმენი“, „ბოშათა ბანაკი ველზე“ და პოპულარული პროგრამა ხალხური შემოქმედებიდან (ქორწილი ბანაკში).

ბოშათა თეატრის შემდეგ „საქფილესტის“ საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის პრ. 123) დაიწყება სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები. ამ თეატრს თბილისის მაყურებელი იცნობს მისი გამოსვლებით 1934 წელს. თეატრი ჩამოდის მთელი თავისი შემადგენლობით ორთვენახევრით. საგასტროლო რეპერტუარში შედის ოპერეტები: „როზ-მარი“, „ღამურა“, „უკანასკნელი ჩარდაში“, „მონმარტრის ია“, „მხიარული ქვრივი“, „ბოშური სიყვარული,“ „ფრინველის გამყიდველი“, „ჩარიტო“, „სილვა“, „ბაიადერკა“.

დასის შემადგენლობაში შედიან მსახიობები ვიკსი, ემელიანოვა, ლიუსინა, კრასოვსკაია, ნაზაროვა, პოპოვა, ვისოცკი, მატვეევი, კორინთელი, მარეჩი, დიბჩო, ზავოლჟინი და სხვ.

მთავარი დირიჟორია ბოგუსლავ ვრანი, ორკესტრში შედის 42 კაცი, გუნდში—40, ბალეტში—48.

სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრის შემდეგ თბილისს ესტუმრება მეიერხოლდის თეატრი და მოსკოვის დრამატიული თეატრი კაშირინის ხელმძღვანელობით.

ყველა აღნიშნული თეატრის გასტროლებზე „საქფილესტი“ იწყებს მუდმივი ადგილების გაყიდვას.

საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანებამ მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო ესტრადის დირექციებთან დადო საკონვენციო შეთანხმება, რომელიც მიმართულია მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის საზაფხულო საესტრადო თეატრების პროგრამის გაფართოებისა და გამდიდრებისაკენ.

კონვენცია ითვალისწინებს მაღალხარისხოვანი უცხოელი არტისტების დროულად და გეგმიანად მოწვევას. პირველ რიგში განზრახულია ქალთა ცნობილი ევროპული ჯაზის „გიცი-როიკის“ (ვენა) მოწვევა. ეს ჯაზი თითო თვით იმუშავებს მოსკოვსა, ლენინგრადსა და თბილისში.

წელს პირველად ეწყობა ქართული ნაციონალური საესტრადო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების გეგმიანად ჩვენება მოსკოვსა და ლენინგრადში. სამოცი კონცერტი ექნებათ ქეთო ჯაფარიძეს, ლადო კავსაძეს, ი. სუხიშვილსა და ნ. რამიშვილს, „საქფილესტის“ ქალთა აღმოსავლურ ანსამბლსა და ქართული ცეკვის ანსამბლს, მომღერალ დავით გამრეკელს, მეჩონგურე ქალთა ანსამბლს, ვასო გოძიაშვილსა და დების თარხნიშვილების გუნდს.

○

ქართული საესტრადო თეატრის სტუდიის გახსნამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდობაში. შემოსულია 400-ზე მეტი განცხადება. გამოცდები დაიწყება აპრილის დამდეგს. სტუდია შუა აპრილში იხსნება.

◇

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ვ. ა. აბშარუმოვს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. აგასაროვთან (ძერჟინსკის ქ. 8, მეორე სართული).

— **საქ. კ.პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532318, გაცემული ორჯონიკიძის რაიკომის მიერ სერგო ზირაკიშ-ძე შარიქაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523063, გაცემული ცხაკაიას რაიკომის მიერ იასონ გუჯუს-ძე ნაჭყებიას სახელზე, პარტბილეთი № 1522982, გაცემული ცხაკაიას რაიკომის მიერ ვლადიმერ უტეს-ძე ადამიას სახელზე, პარტბილეთი № 1522893, გაცემული ცხაკაიას რაიკომის მიერ ანტონ ტუტუს-ძე გვასალიას სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **კიროვის პარტრაიკომი** აცხადებს, რომ ახალი ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0707361, გაცემული კიროვის რაიკომის მიერ მიხეილ გიორგის-ძე პოპოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ანდრო გელოვანი

მარქს-ენგელსის შეხედულებანი სისხლის სამართლის საკითხებზე

ი. ბოჭორიშვილი „მარქსიზმის კლასიკოსები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“. ნაწ. I, სახელგამი, 1936 წ.

სისხლის სამართლის თეორია, კანონმდებლობა და სასამართლოს პრაქტიკა უშუალოდ ასახავენ კლასობრივი ბრძოლის ფორმებს. ამიტომ სისხლის სამართლის პოლიტიკა, როგორც გაბატონებული კლასის საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

ეს გარემოება, ცხადია, მეტად აქტუალურ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხების მაღალ თეორიულ საფუძველზე დამუშავებას და უაღრესად პასუხსაგებ ამოცანის წინაშე აყენებს ამ დარგში მომუშავე მეცნიერულ კადრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საქართველოში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და ადგილი აქვს ჩამორჩენას.

დოცენტ ი. ბოჭორიშვილის წინათ გამოქვეყნებული შრომები სისხლის სამართლის საკითხებზე და კერძოდ მის მიერ შედგენილი წიგნი: „მარქსიზმის კლასიკოსები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“, ამ ჩამორჩენის დაძლევის ნაყოფიერ ცდას წარმოადგენს.

ავტორის განზრახვა: წარმოვიდგინოს მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დანაშაულისა და სასჯელის შესახებ — სარეცენზიო კრებულში შესრულებულია მარქსის და ენგელსის შრომებში ამ საკითხებზე არსებულ მასალათა დალაგებით. წიგნის მეორე ნაწილი მიეძღვნება ლენინისა და სტალინის შეხედულებათა გადმოცემას.

შევჩერდეთ ავტორის საკმაოდ ვრცელ მიმოხილვაზე, რომელიც შესავლის სახით წინ უძღვის წიგნს.

ამხ. ი. ბოჭორიშვილი თავის შესავალში უპირველეს ყოვლისა ჩერდება ბურჟუაზიულ მეცნიერთა ცდებზე — გვერდი აევლოთ მარქსისა და ენგელსის შემოქმედების მეცნიერული მნიშვნელობისათვის, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელი გახდა — სხვადასხვა დამატებებით დაემახინჯებინათ და მოედუნებინათ მისი რევოლუციური ხასიათი. მარქსიზმის კლასიკოსთა შეუფასებლობა, კერძოდ სისხლის სამართლის დარგში, დაშვებული იყო ზოგიერთი ავტორის მიერ საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაშიაც, რის სრული მეცნიერული უსაფუძვლობა და პოლიტიკურად მავნებლური ხასიათი სავსებით გამომჟღავნებულია ჩვენი ავტორის მიერ.

თავისთავად ცხადია, მარქსი და ენგელსი სისხლის სამართლის საკითხების სრულ მარქსისტულ გაგებამდე ერთბაშად არ მისულან. მათ, ჰეგელიანურ - იდეალისტურ შეხედულებებიდან დაწყებული, განვლეს მეცნიერული მატერიალიზმის პრინციპების გამომუშავებისათვის ბრძოლის შესანიშნავი გზა. სწორად მოიქცა ამხ. ი. ბოჭორიშვილიც, როდესაც თავის წერილში ასეთ საკითხს აყენებს და არკვევს: „როგორია სინამდვილეში მარქსის პოზიცია დანაშაულისა და სასჯელის ძირითად პრობლემების შესახებ, როდესაც ის მხოლოდ იწყებს ჰეგელის სრულ ზეგავლენისაგან თანდათან განთავისუფლებას?“

მართალია, ავტორი ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას სპეციალურად არ ჩერდება მარქსიზმის იმ ფალსიფიკატორებზე, რომლებიც დიალექტიკური მატერიალიზმის ნიადაგზე მარქსისა და ენგელსის დადგომის დასაწყისად 1847 წ. სთვლიან, მაგრამ პრუსიის ლანდტაგში სადისკუსიოდ წამოჭრილ, ხე-ტყის ქურდობისადმი მიძღვნილ, მარქსის წერილების განხილვით ჩვენი ავტორი ხსენებულ ფალსიფიკატორთა მოსაზრებას ყოველგვარ საფუძველს აცლის.

დანაშაულისა და სასჯელის შესახებ ამ წერილებში გამოთქმული მოსაზრებები, რაც მარქსმა გამოაქვეყნა „რეინის გაზეთში“ 1842 წ. ჩვენი ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენს „რადიკალურ ნაბიჯის გადადგმას ჰეგელიანიზმიდან მარქსიზმისაკენ“.

მარქსი ამ პერიოდში უკვე სრული გარკვეულობით დგას „მოსახლეობის არამქონეთა დაბალი ფენის“ მხარეზე და ამჟღავნებს უდიდეს სიძულვილს ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართ, აშიშვლებს კერძო მესაკუთრეთა ეგოისტურ ინტერესებს და მის სამსახურში მყოფ სახელმწიფოს მიერ გამოცემულ სისხლის სამართლის კანონების შინაარსს, რომელნიც კერძო საკუთრების ყოველგვარ დარღვევას დანაშაულებრივ ქმედობად სთვლიან. მარქსი სვამს გაბატონებული კლასებისათვის თავზარდამცემ კითხვას: „თუ საკუთრების ყოველგვარი დარღვევა უკლებლივ, სათანადო ზუსტი განსაზღვრის გარეშე, არის ქურდობა, მაშინ ხომ არ წარმოადგენს თვით ყოველგვარი კერძო საკუთრება ქურდობას“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. I გვ. 224-225).

ავტორი დაწვრილებით იხილავს მარქსის თეორიას სასჯელის შესახებ, რაც მოცემულია ამ წერილებში, და კერძოდ მის ცნობილ დებულებას „სასჯელის ზომის გადალახულის ზომით განსაზღვრის შესახებ“. აქ მარქსი სასჯელის ზომის დამყარების საკითხში გამოდის საზოგადოების ყველა წევრთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან, იგი გამოსთქვამს მთელ რიგ ჰეგელიანურ შეხედულებებს, რომლებსაც არკვევს ამხ. ბოჭორიშვილი.

ამხ. ი. ბოჭორიშვილი დაწვრილებით ჩერდება სასჯელის შესახებ მარქსის საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულების გადმოცემაზე, და განსაკუთრებით იმ ცნობილ დებულებაზე, რომლის მიხედვითაც „სინამდვილეში სასჯელი სხვა არა არის რა, გარდა საზოგადოების დაცვის საშუალებისა მისი არსებობის პირობების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ“.

ამ მიზნით ავტორი საფუძვლიანად იხილავს დამნაშავის სუბიექტის ადგილს მარქსის თეორიაში სასჯელის შესახებ, სუბიექტისა, რომელიც საზოგადოების არსებული კლასობრივი სტრუქტურის და კლასობრივი წინააღმდეგობის საფუძველზე განისაზღვრება.

აქვე უნდა აღინიშნოს ავტორის სავსებით სამართლიანი ისტორიული ექსკურსი ჰეგელის სასჯელის თეორიის გამანადგურებელი კრიტიკის დარგში. ჰეგელის კრიტიკის საფუძველზე მარქსმა გახსნა დამნაშავის თავისუფალი ნებისა და სასჯელის დამნაშავის უფლებად გამოცხადების ჰეგელიანური პრინციპების ბურჟუაზიულ - კლასობრივი შინაარსი, ამხილა გაბატონებული კლასის მიერ დამყარებულ ემპირიულ სასჯელთა გამართლებისა და ძალაში დატოვების ცდები, რომლებთაც „სპეკულატურ საბურველში“ ხვევდნენ დანაშაულისა და სასჯელის საკითხებს, და გამოიმუშავა საკუთარი, მატერიალისტურ - დიალექტიკური შეხედულებანი დანაშაულსა და სასჯელზე.

ამხ. ი. ბოჭორიშვილის ეს მიმოხილვა უსათუოდ მოიგებდა, რომ ავტორს არ ეტყობოდეს ტენდენცია დანაშაულობის საკითხისათვის დაქვემდებარებული მნიშვნელობის მინიჭებისა სასჯელის საკითხთან შედარებით. ეს მით უმეტეს უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა ამის შესახებ ჯერ კიდევ წინათ გამოქვეყნებულ თავის შრომაში „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“ ასეთი აზრი გამოთქვა: „სასჯელი, რომელიც ჩვენ გვესმის, როგორც გარკვეული ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება დანაშაულობის წინააღმდეგ. მართლაც არ შეიძლება არ იყოს ის ძირითადი ცენტრი, სადაც არსებითად სწყდება პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერებისა“ (გვ. 16). ჩვენ ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის ცენტრად სასჯელის საკითხის გამოცხადება არ არის სწორი. სასჯელის დაკავშირება გარკვეულ დანაშაულებრივ ქმედებასთან და ამდენადვე მისი გახდომა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნად გამოყვანილ უნდა იქნას თვით ამ დანაშაულებრივი ქმედების სოციალ - კლასობრივი შინაარსიდან.

რაც შეეხება მარქსის და ენგელსის შრომებში დანაშაულისა და სასჯელის შესახებ არსებული მასალების ამოკრეფასა და დალაგებას, აქ უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ გაწეული უაღრესად დიდი და პასუხსაგები მუშაობა. ეს პირველი ცდაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც.

მასალების დალაგების მხრივ ავტორს სამართლიანად უარუყვია ქრონოლოგიური პრინციპი, რომელიც მხედველობაში ღებულობს ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ცალკე პერიოდებს და ამიტომ ხშირად ჰქმნის გაუგებრობებს.

ავტორს მასალების სისტემატიზაცია მოუხდენია საგნობრივ - თემატიური პრინციპის მიხედვით: დანაშაული, სისხლის სამართალი, სასჯელი, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სასამართლო ხელისუფლება, კანონის სოციალური და ფორმალური ინტერპრეტაცია და პატიმართა „გამოსწორების“ ბურჟუაზიული მეთოდები. დამატების სახით მოცემულია კ. მარქსის შეხედულებანი დანაშაულის და სასჯელის შესახებ საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პერიოდში. ამ უკანასკნელის ცალკე გამოყოფა უსათუოდ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ეს წარმოადგენს იმ შეცდომის გამოსწორებას, რომელიც ავტორმა დაუშვა 1934 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „კარლ მარქსი დანაშაულის და სასჯელის შესახებ“ იმით, რომ ერთად მოიყვანა მარქსის ადრინდელ სისხლის სამართლებრივ შეხედულებათა გამომხატველი დებულებანი და მისი ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის გადმომცემი ტექსტები.

როგორც წინასიტყვაობაში თვით ავტორიც ამბობს, ეს შრომა არ არის უნაკლო მარქს-ენგელსის სისხლის-სამართლებრივ შეხედულებათა დამახასიათებელი მასალების სისრულის მხრივ. აგრეთვე არის ცალკე ამონაწერების არა მთლიან კონტექსტში მოწოდების შემთხვევები, რის გამო მკითხველისათვის აზრის მთელი მიმდინარეობა გაურკვეველი რჩება. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მარქსის ციტატი კანტისა და ჰეგელის აბსტრაქტული სამართლის შესახებ, რომელსაც დასაწყისში მოკვეთილი აქვს მეტად მნიშვნელოვანი სტრიქონები. ზოგიერთი ტექსტი ამოგლეჯილად არის მოყვანილი, რის გამო მსჯელობის საგანი მკითხველისათვის მიუწვდომელი რჩება. მაგალითად, თავში „სასჯელი“ ავტორს მოჰყავს მარქს-ენგელსის თხზ. მე-3 ტომიდან ორი ასეთი სტრიქონი: „საზოგადოებამ, რომ დაიცვას თავისი თავი დანაშაულობისაგან, საჭიროებს ფართო ორგანიზმს“. ცხადია ამ სიტყვებიდან მკითხველი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიგებს, რა ორგანიზმზეა აქ ლაპარაკი და რას უკავშირდება იგი.

ასეთია ზოგადად ამხ. ი. ბოჭორიშვილის მიერ შედგენილი სარეცენზიო წიგნი. იგი აძლევს საშუალებას ჩვენს სტუდენტობას და იუსტიციის მუშაკებს უშუალოდ გაეცნონ მარქს-ენგელსის სისხლის - სამართლებრივ შეხედულებებს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

27-III	ევგენი ონეგინი
28-III	გედების ტბა

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მუდმივი ადგილები 21 მარტის თარიღით ძალაშია 27 მარტს, 22 მარტის თარიღით—26 მარტს, 23 მარტის თარიღით—28 მარტს და 25 მარტის თარიღით—2 აპრილს. წინასწარ ადგილის აღნიშვნით.

თეატრის ადმინისტრატორი

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

27-III	არსენა
28-III	ალკაზარ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

27-III წარ. № 134	იცკა რიქინაშვილი
28-III წარ. № 135	ძალად ექიმი

სახცირკი
ტელ. 3-11-44

30 მარტს დღის წარმოდგენა განახლ. პროგრამით. დასაწყ. 2 ს. ფასები შემცირებულია.

დღეს, 27 მარტს
დიდი წარმოდგენა დღისით—განახლებული პროგრამით. ახალი გასტროლიორები.
ფრანგული პროფეს.
ჭიდაობის
მატჩების მე-27 დღე.
ჭიდაობს 3 წყვილი
1. შახნაზაროვი — კარელინი
2. გადამწყვეტი შეხვედრა კლ. ბული — როჩეკი.
3. მ. ბაბალაშვილი— ვ. გომოზოვი
წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. ჭიდ.—10 ს. 30 წ.
სალარო 12—2 ს. და 5 ს.-დან.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 5-30, 8, 9-30 11	დადგმის მე-3 კვირა ხმოვანი სურათი ფედკა
დამ. კვრელი 5-30, 7-20, 9-10 11	ახალი ხმოვანი ფილმი უკანასკნელი ღამე
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-3	დადგმის მე-2 თვე დარიკო
რ. ლუქსემბ. 6, 7-40 9-20 11	ხმოვანი ფილმი პოეტის სიჭაბუკე
26 კომ. სახ. 6-30 8-30 10-3	ხმოვანი ფილმი ალმასი
ახალი ამბები	ესპანეთის ამბები № 15 ხმოვ. ჟურნალი № 8. ჩვეულებრივი ქალი.

15 მარტს დაიკარგა 13 წლის ხუტუშა ჭანტურია, ტანად სრული, შავთვალწარბა, დიდთვალება და ფართო სახიანი. ნახველს ვთხოვთ გვაცნობოს - თბილისი, სოხუმის ქუჩა, № 8. მიხეილ ჭანტურიას.
16842

ლენრაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი **პ. მ. ლომია** ამით აცხადებს, რომ ა/წ 29 მარტს, დღის საათის პირველზე მალაკნის ქ. № 33-ში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

არტელ „იმერის“ შემდეგ ქონებას:

648, $^{1}/_{4}$ და $^{1}/_{2}$—ლიტრიან ბოთლ ჩამოსხმულ არაყს, 3000 კგ. ხილის სიროფს, 760 ბოთლ პორტვეინის ღვინოს, 37 ცალ კასრს და სხვ. ქონება შეფასებულია 23.578 მანეთად და გაიყიდება არტელ „ინშრომის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად არბიტრაჟის 8/II—37 წ. ბრძანებისა № 2/27.
16843

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40 მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, ქამოს ქ. № 68